გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№37 (1063) 3 – 5 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## ირაკლი ღარიბაშვილი

„სირცხვილია! მოსახლეობამ იმისთვის არ აგვირჩია, პრეზიდენტის მთავრობისადმი კრიტიკა ისმინოს“

გვ.2

# ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ნარმანიასთან

## რაფომ დადის ნათხოვარი მანქანით, რაფომ ჩაშალა ფენდერები და რაფომ არ მიიღებს ოპონენტების საყვედურს თბილისის მერი

გვ.3–4

## ვინ შეცვლის მაჟორიტარებს პარლამენტში

გვ.5

ალტერნატივა — პარტიული სიები, „თბილისელების პარლამენტი“ თუ ორპალატიანი ორგანო

## გაუმართავი პროექტები, ჩავარდნილი ტენდერები და სიცოცხლისთვის საშიში გვირაბი

გვ.4

რა ხდება მერიის ტექნოლოგიური განვითარების ფონდში

## „ჩარლის ანგელოზები“ — ქართული კრიმინალური დაჯგუფება ესპანეთში

ეროვნული ღონისძიება

გვ.7

როგორ განვრთნა ქართველმა „ჩარლიმ“ 7 ქალი ბინების მძარცველად

მწერალი, ჟურნალისტი, „ქართული ხმების“ სოლისტი და სულისჩამდგმელი, დღეს უკვე პარლამენტის წევრი თემურ ჭკუასელი „ვერსიის“ ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია. უფალმა მას უდიდესი განსაცდელი არგუნა — უსაყვარლესი მეუღლე, ქალბატონი ნანა გარდაეცვალა. ეს ნოველა — „გაღიმებული ცრემლი“ სწორედ მწერლის პირველი ემოციებია, რომელიც აღდგომის მარხვის ამ უმძიმეს დღეებში, ბევრი, სიკვდილთან მებრძოლი თუ სიკვდილზე გამარჯვებული ადამიანისთვის, შვებად და იმედად შეიძლება იქცეს. იმედად იმისა, რომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნოს — სიყვარული მარადიულია, ცხოვრება კი ცრემლი ყოფილა, გაღიმებული ცრემლი...
4 აპრილი ქალბატონი ნანას დაბადების დღეა, დღე, რომელსაც მისი საყვარელი ადამიანები „გაღიმებული ცრემლით“ ეგებებიან!

# გაღიმებული ცრემლი

## ვუძღვნი ნანას ხსოვნას

თემურ ჭკუასელი

გვ.8–9

# ირაკლი ღარიბაშვილი: „სირცხვილია! მოსახლეობამ იმისთვის არ აგვირჩია, პრეზიდენტის მთავრობისადმი კრიტიკა ისმინოს“

გიორგი იაშვილი

1 აპრილს მთავრობის ტრადიციულ სხდომაზე განხილვის მთავარი თემა პრეზიდენტის გამოსვლა და მისი განცხადებები იყო. გიორგი მარგველაშვილმა, პრაქტიკულად, ყველა საკითხი მოიცვა და საპარლამენტო ტრიბუნიდან მთავრობის კრიტიკასაც არ მოერიდა. იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობის წევრები არ დასწრებიან, ფაქტია, რომ მის გამოსვლას ყველამ უსმინა და დეტალური ინფორმაციაც ჰქონდათ. პრემიერ-მინისტრმა მისალმების შემდეგ აქცენტი სწორედ მარგველაშვილის სიტყვებზე გააკეთა: **„ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ ჩვენს კომპეტენციებში არც ერთი ორგანო, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პარლამენტი, უხეშად არ უნდა ჩაერიოს. რაც შეეხება პრეზიდენტის შენიშვნას, თითქოს მთავრობამ არ მოიწვია პრეზიდენტი და არ განვიხილეთ ჩვენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების, ნატო-ს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის საკითხები. მინდა, კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ეს არის მთავრობის პრეროგატივა და კომპეტენცია. მოვისმინეთ ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებები, რომ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს არსებითი პაკეტის განხორციელება. რაც შეეხება ევროინტეგრაციის ნაწილს, ამ იმპლემენტაციას, უშუალოდ, მე ვკურირებ და ყოველთვე გვაქვს შეხვედრები. რაც არის მთავრობის კომპეტენცია, ეს უნდა აღასრულოს მთავრობამ და არა სხვამ, ხოლო ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობაზე კონტროლს განახორციელებს პარლამენტი და საქართველოს მოსახლეობა“.**

სხვათა შორის, მარგველაშვილმა მინისტრებს გამოფხიზლებისკენაც მოუწოდა და ისიც თქვა, მინისტრი რიგითი წევრი არ უნდა იყოსო, რაზეც ღარიბაშვილს შესაბამისი რეაქცია ჰქონდა. მით უმეტეს, საკითხი ეკონომიკურ საბჭოსა და მის მუშაობას ეხებოდა.

**„არასდროს მოუმართავს პრეზიდენტს რაიმე კითხვით, თუ რას აკეთებს ეკონომიკური საბჭო, უშლის თუ არა რომელიმე სამინისტროს მუშაობაში ხელს. მინდა, მოსახლეობას განვუმარტო ამ შემთხვევაში და არა პრეზიდენტს, თუ რა მიზნით შევქმენით ეკონომიკური და კრიზისების მართვის საბჭოები. პრეზიდენტს რომ მოემართა კითხვით, რა თქმა უნდა, ნებისმიერ დროს ამას მოვახერხებდით. ეს მოდელი ჩვენ გადმოვიღეთ ისრაელიდან, სადაც პრემიერ-მინისტრს აქვს მსგავსი ტიპის საათბიროები. ასევე აქვს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, აშშ-ს პრეზიდენტს. ახალი გამოგონება არ ყოფილა. აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის შენიშვნა, თუ კრიტიკა მინისტრების მისამართით პრეზიდენტის მხრიდან, რომ მინისტრები საბჭოს რიგით წევრებად ითვლებიან. უკაცრავად და, ამ საბჭოს ვხელმძღვანელობ მე, პრემიერ-მინისტრი. სადაც პრემიერ-მინისტრი არის ხელმძღვანელი, იქ ბუნებრივია, მინისტრი იქნება რიგითი წევრი. ჩემი აზრით, გაუმართლებელ და უსამართლო კრიტიკას მთავრობის წევრების, მთავრობის მუშაობის მისამართით, ჩვენი გუნდის წევრის, პრეზიდენტის მხრიდან. ეს სამწუხაროა. მინდა მოვუწოდო ყველას, მათ შორის პრეზიდენტს — როდესაც საუბარია სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაზე, არავის დაავიწყდეს, რომ ჩვენ ასეთი საუბრით ვაკნინებთ მინისტრების საქმიანობას და უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს“.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელისუფლებო გუნდი არის მოწოდებული, ყველა ინსტიტუტთან ჰქონდეს ჯანსაღი, კონსტრუქციული ურთიერთობა და პრეზიდენტთან ურთიერთობაში პოზიტიური წინსვლის ინიციატორი ყოველთვის თავად იყო. მთავრობის მეთაურის განმარტებით, პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებაზე მთავრობის დასწრების საკითხზე კოალიციამ გასულ წელს იმსჯელა და ახალი საკონსტიტუციო რეალობის გათვალისწინებით, აღმასრულებელი ხელისუფლების გამგზავრება ქუთაისში საჭიროდ არ ჩაითვალა. **„ჩემთვის ცოტა საწყენია, როდესაც ერთის მხრივ, მიუთითებენ გუნდურობაზე და მეორეს მხრივ, ვისმენთ გაუმართლებელ და უსამართლო კრიტიკას მთავრობის მუშაობის მისამართით, ჩვენი გუნდის წევრი პრეზიდენტის მხრიდან. ჩვენ მოსახლეობამ არ აგვირჩია იმისთვის, რომ მოისმინოს პრეზიდენტის კრიტიკა მთავრობისადმი და ჩემი პასუხები, ეს არის სირცხვილი. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, დრო დავკარგოთ ისეთ საკითხებზე, რაც ჩვენი მოსახლეობისთვის არ არის პრიორიტეტული“.**

პრეზიდენტის სიტყვის შეფასების გარდა, პრემიერს არც ის დავიწყებია, რომ არსებული ვითარების მიუხედავად, ხელისუფლებამ მოახერხა და თებერვალში ეკონომიკური ზრდა აჩვენა: **„საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საგარეო ფაქტორები, მათ შორის ეკონომიკური ზრდის ტენდენციები ჩვენს მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. ნორმალურია, თუ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა რეგიონის და საპარტნიორო სივრცის ეკონომიკური ზრდის საშუალო ტემპს არ ჩამოუვარდება. 2004 და 2012 წლებში საშუალოდ საქართველოს ეკონომიკური ზრდა იყო 6,1% და მას უსწრებდნენ ჩვენი მეზობელი ქვეყნები — აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი. ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი ორნიშნა მაჩვენებელი დაფიქსირდა პირველად 2003 წელს — ეს იყო 11,1%, ხოლო ბოლოს 2007 წელს — 12,3%, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ დროს ჩვენ არ ვყოფილვართ ლიდერები რეგიონში — 2007 წელს ჩვენი მეზობლის, სომხეთის ეკონომიკა გაიზარდა 14%-ით. და ამ პირობებში, იმის გათვალისწინებით, როგორი იყო მოლოდინი და ოპონენტები ვარაუდობდნენ კატასტროფას, თებერვალში ჩვენ მაინც გვქონდა ზრდა და ეს მისასალმებელია“.**

ის, რომ პროკურატურისა და შსს-ის რეფორმაზე ბევრი და ღიად საუბრობს, ახალი არაა. თეა წულუკიანმაც თქვა, რომ პროკურატურის რეფორმა სასწრაფო წესით დასაწყებია.

**„რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის რეფორმირების საკითხს, ამ თემით სპეკულირება არასწორად მიმაჩნია, ვინაიდან რამდენიმე თვის წინ მე გამოვედი ინიციატივით და თეა წულუკიანს დაევალა პროკურატურის რეფორმირებაზე მუშაობა. უსაფრთხოების საბჭოს მდივანს დავავალე შსს-ს რეფორმირებაზე მუშაობა და ამაზე პრაქტიკულად დასრულებული აქვს სამუშაოები. ჩვენ უახლოეს რამდენიმე კვირაში უკვე წარმოვუდგენთ საზოგადოებას საბოლოო მოდელს. ასე რომ, კიდევ ერთხელ, მინდა, მოსახლეობას მოვუხადო ბოდიში, ვინაიდან მსგავსი განმარტებებით მოსახლეობაც დაიღალა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ არის საინტერესო მათთვის, მაგრამ ვინაიდან საჯაროდ გაკეთდა ეს შენიშვნები, აქედან გამომდინარე მე საჭიროდ ჩავთვალე, რომ ასევე საჯაროდ მეპასუხა პრეზიდენტისთვის“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

1 აპრილსვე გაირკვა, რომ პრეზიდენტი მთავრობასთან თანამშრომლობისა თუ კომუნიკაციის სურვილს არ გამოხატავს. ამის შესახებ პრემიერმა ღიად თქვა და განაცხადა, რომ მას მარგველაშვილი არასდროს ეხმიანება და ყველა სატელეფონო საუბრის ინიციატორი თავად გახლავთ. ეს მაშინ, როცა პრეზიდენტიც იმ გუნდის მიერ იქნა დასახელებული და მოსახლეობის მიერ არჩეული, რომელსაც მთავრობა წარმოადგენს და წესით, კომუნიკაციის პრობლემა არ უნდა იყოს.

## 2015 წლის მარტში საქართველოს საზღვარზე 385 970 ვიზიტორი დაფიქსირდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით. კერძოდ: 2015 წლის მარტის თვე 385 970 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 2,2 %-ით ნაკლებია. რაც შეეხება იანვარ-მარტის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 986 366 ვიზიტი განხორციელდა, რაც 2%-ით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია: ა) ტურისტი — 348 770 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 35,4%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 7,4%); ბ) ტრანზიტი — 203 841 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 20,6%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 15,3%); გ) სხვა — 433 755 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 44%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 5%).

2015 წლის მარტშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (-6%), აზერბაიჯანიდან (+0,3%), სომხეთიდან (-0,6%), რუსეთიდან (-0,3%) და უკრაინიდან (-12%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-მარტში გამოირჩნენ ლიტვა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იტალია (შესაბამისად 136%, 64%, 14% და 12%), შუა აზიის ქვეყნებიდან უზბეკეთი (95%) და ყაზახეთი (29%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი - ბელორუსიის და მოლდოვას მოქალაქეები 39% და 19%–იანი მატებით.

*„ვერსიანიუსი“*

ვერსიანიუსი

## მანდატურმა პირველკლასელი გადაარჩინა

მანდატურის სამსახურის ინფორმაციით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურმა გიორგი მელიქიძემ პირველკლასელი გადაარჩინა: **„ვითარება ასეთი იყო, ბავშვს საწუწნი კანფეტი სასულეში გადასცდა, რომ არა მანდატურის გამბედაობა და პროფესიონალიზმი, ბავშვს სუნთქვა შეუჩერდებოდა“.**

**გიორგი მელიქიძე: „სკოლის პირველ სართულზე ვმოძრაობდი, რა დროსაც ერთ-ერთი კლასიდან ყვირილის ხმა მომესმა, სასწრაფოდ იქით გავიქეცი, კლასში შევვარდი და დავინახე გალურჯებული ბავშვი. ვითარება მყისიერად შევაფასე და შევუდექი საქმეს. მესამე მცდელობაზე ბავშვს პირვანდელი სახის ფერი დაუბრუნდა და კანფეთი ღრუდან ამოუვარდა. ბავშვმა ამოისუნთქა და უკეთ იგრძნო თავი. დავრწმუნდი, რომ ბავშვი კარგად იყო და დავმშვიდდი“.**

მანდატურის სამსახურის ინფორმაციით, მანდატურებს გავლილი აქვთ პირველადი სამედიცინო დახმარების მოსამზადებელი კურსები, რაც მათ ეხმარება კრიზისულ სიტუაციებში დაიცვან ბავშვთა უსაფრთხოება. მანდატურის სამსახური მადლობას უცხადებს გიორგი მელიქიძეს სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

*„ნიუპოსტსი“*


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2015 წლის 22 მაისს, 14 საათზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №27) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის როშკა-ახიელის საავტომობილო გზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

პროექტი მიზნად ისახავს როშკა-ახიელის საავტომობილო გზის მშენებლობას, რომელიც პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის სოფლებს (როშკა, ახიელი, ჭიმღა, ამღა) მისცემს ერთმანეთთან, რაიონულ ცენტრთან (დუშეთი) და ქვეყნის სხვა რეგიონებსა და ქალაქებთან დაკავშირების საშუალებას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში — ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150. ტელ: (995 32) 2437001/02/03/04;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — (მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №27);
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: (995 32) 2 60 15 27.

**გზშ-ს ანგარიშის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mdf.org.ge.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო პატარაშვილი. ტელ: 577382292; E-mail: npatarashvili@mdf.org.ge;
- ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 595 59 52 55; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

***საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი***

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ნარმანიასთან

## რაფომ დადის ნათხოვარი მანქანით, რაფომ ჩაშადა ტენდერები რაფომ არ მიიღებს ოპონენტების საყვედურს თბილისის მერი

**ამბობს, რომ თბილისის მერი საკრებულოს პატივს სცემს და იქ იმდენჯერ მივა, რამდენჯერაც საჭირო იქნება. თუმცა ხაზგასმით აზუსტებს — როცა კანონის მიხედვით, დედაქალაქის მერი წელიწადში ერთხელ ვალდებულია, საკრებულოში ანგარიშით წარსდგეს და მით უმეტეს, თუ ეს პერიოდი უკვე მოახლოებულია, ცალკეული ადამიანების დაძახილზე, რომლებიც ჭიქაში ხელოვნურად ქმნიან ქარიშხალს, საკრებულოში მისვლას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. თბილისის მერი დავით ნარმანია, დედაქალაქის საკრებულოში აპრილის დასაწყისში წარადგენს ანგარიშს და ყველა კითხვას უპასუხებს. რაც მერად აირჩიეს, სრული ერთი წელი არ გასულა, მაგრამ ცოტა განსხვავებულ და სამნაწილიან ანგარიშს მაინც წარადგენს — განიხილავს, რა დახვდა თბილისის მერიაში, რა გამოასწორა ბოლო თვეებში და რას გეგმავს 2015 წელს. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, თბილისის მერი დავით ნარმანია, დაუფარავად საუბრობს ყველა იმ სკანდალურ საკითხზე, რაც ბოლო დროს, მერიის მაღალჩინოსნების დაკავებას, ნეპოტიზმს, კორუფციასა თუ ჩაშლილ ტენდერებს ეხება.**

**— ბატონო დავით, მერად არჩევის შემდეგ, პირველი, რაც გააკეთეთ, შსს-ს ანტიკორუფციულ სამსახურს მიმართეთ, დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის გამგეობების საქმიანობა შეესწავლა. კონკრეტულად, რას სწავლობს ანტიკორუფციული სამსახური და გახდება თუ არა ეს საქმეები სისხლის სამართლის საქმეების აღძვრის საფუძველი?**

— როცა მერიაში მოვედით, ვნახეთ, რომ ცალკეულ, ქვემდებარე ორგანიზაციებში ქაოსი და განუკითხაობა იყო. მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, რომელიც 13 ორგანიზაციაში შევიდა. ანუ, ზოგ დაწესებულებაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა. ამან საშუალება მოგვცა, სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა არსებული მდგომარეობა და გამოგვესწორებინა, რისი გამოსწორებაც შეიძლებოდა. მაგალითად, ლილოში, სპორტული დაწესებულება ისეა გაჩანაგებული, მის აღსადგენად, 200 000 ლარის დახარჯვა გვიწევს. ბევრ ორგანიზაციაში მოშლილი იყო აღრიცხვა-ანგარიშგება, რის გამოც ქალაქის ბიუჯეტს თანხები აკლდებოდა, ცალკეული თანამდებობის პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა გულგრილ დამოკიდებულებას, ინვენტარიზაცია არ ტარდებოდა...

**— დაგიზუსტებთ კითხვას, ჩვენი ინფორმაციით, შსს-ს ანტიკორუფციული სამსახური თბილისის გამგეობებშია შესული. მაგალითად, ჩუღურეთის რაიონში და გარკვეულ საქმეებს სწავლობს.**

— ანტიკორუფციული სამსახური ცალკეულ ფაქტებსა და შემთხვევებს სწავლობს სწორედ ჩვენს ან მათ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა თბილისის მთავრობაში მოსვლის შემდეგ, წერილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გავუგზავნეთ, სხვა სამსახურები მოგვიანებით ჩაერთნენ.

**— რა ფაქტების შესწავლა სთხოვეთ ანტიკორუფციულს, სამსახურებრივი გულგრილობა იყო, ქრთამის აღების ფაქტები თუ კორუფციის ნიშნები?**

— იყო შემთხვევები, სადაც სამსახურებრივი გულგრილობა გამოვლინდა, რაც დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობას, რესურსების ანუ თანხების არარაციონალურ ხარჯვას, ასევე უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს ეხებოდა.

**— რატომ ჩაანაცვლეს ალექსანდრე მარგიშვილი და ალუდა გოგლიჩიძე, დიმიტრი ქუმსიშვილითა და ირაკლი ლექვინაძით და თბილისის მთავრობის პროფესიონალი ეკონომისტებით დაკომპლექტება, რეალურად, რას შეცვლის?**

— ეკონომისტის პროფესია ძალიან საინტერესოა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ეკონომისტი ვარ და საკუთარ პროფესიას ვაქებ. ქალაქის მართვისა და განვითარებისთვის, სხვა პროფესიის ადამიანების მსგავსად, ეკონომისტების როლიც შეუცვლელი და მნიშვნელოვანია. მეწარმეობის განვითარებას ხელშეწყობა სჭირდებოდა და ვიცე-მერს, ალექსანდრე მარგიშვილს, ამ მხრივ, დიდი გამოცდილება აქვს — მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელი იყო, რამდენიმე უცხოურ და ადგილობრივ კომპანიაში მუშაობდა. ამ ცვლილებებამდე ერთი თვით ადრე, მომმართა, ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად, მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი შეგვექმნა. დავიწყეთ მუშაობა და ცენტრის ხელმძღვანელად მარგიშვილი დავნიშნეთ. გოგლიჩიძე კი, წლების განმავლობაში, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობდა. ჩვენი წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით, თბილისი რეგიონის ახალგაზრდული და საგანმანათლებლო ცენტრად და ევროპული ტიპის ქალაქად უნდა იქცეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი ქვემდებარე, პატარა არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ), რომელიც ახალგაზრდულ პროგრამებს ახორციელებს, გაგვეძლიერებინა. წელს, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე, ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობას ვიწყებთ, ევროპულ სტრუქტურებში თბილისმა უკვე გააკეთა განაცხადი, რომ მომდევნო წელს, ახალგაზრდული ქალაქის სტატუსი მოიპოვოს, რათა ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდეს. ამას ცალკე მენეჯერი და ხელმძღვანელი სჭირდება. ამ ყველაფერს გოგლიჩიძე გაუძღვება. ახალმა კადრებმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა და ირაკლი ლექვინაძემ, ახლებური ხედვებითა და მიდგომებით შეავსეს ეს სივრცე. დარწმუნებული ვარ, გავზრდით თბილისის მერიის ეფექტურობას და უფრო სწრაფად მივიღებთ გადაწყვეტილებებს.

**— რას ნიშნავს თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი და საიდან გაჩნდა მისი შექმნის იდეა. ოპონენტებმა გისაყვედურეს კიდეც, რომ ქვეყანაში ისედაც ბევრი ფონდი არსებობს...**

— ოპონენტები ვერ მისაყვედურებენ, შეიძლება პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და იმ ადამიანებმა მისაყვედურონ, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს.

**— რა მიზნით შეიქმნა ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს მარგიშვილი, მის მიმართ კი კითხვის ნიშნები ჯერ კიდევ არსებობს?**

— კითხვის ნიშნები დიდი ხანია მოიხსნა... მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრს, დებულებით, კონკრეტული ფუნქციები აქვს. თბილისში სხვადასხვა პროექტი და პროგრამა განხორციელდება, რომლებიც მეწარმეებს საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციასა და რეალიზებაში ხელს შეუწყობს.

**— თუ მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელების საყვედურს მიიღებთ, ბიძინა ივანიშვილმაც გისაყვედურათ. არადა, მისი ფავორიტი იყავით და მერობის კანდიდატად იმიტომ წარგადგინათ, დასავლური ყაიდის, მკაცრი ტიპის მენეჯერად მიგიჩნევდათ. რა უნდა ივანიშვილს, შეხვდით მას?**

— ბიძინა ივანიშვილს უნდა, თბილისი მეტად განვითარდეს და დაპირებები ბოლომდე შევასრულოთ. მან იცის, რომ ღალატი არ მჩვევია, შემიძლია, დღე და ღამე ვიმუშავო, თუმცა ისიც დაინახა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას, იმაზე მეტს ვფიქრობთ, ვიდრე საჭიროა. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ასე იქცევიან, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ამის დრო არ გვაქვს — სწრაფი გადაწყვეტილებები და ცვლილებებია საჭირო და ამაზე თავადაც მივუთითებ ხოლმე მოადგილეებს, სამსახურების ხელმძღვანელებს, გამგებლებს... ვფიქრობ, იმ სირთულეების ფონზე, რაც მერიაში დაგვხვდა, როდესაც საბოტაჟის რეჟიმში გვიწევდა მუშაობა, პრობლემების გადაჭრასაც ვცდილობდით და განვითარებაზეც ვფიქრობდით. ავად თუ კარგად, ნორმალურად ვიმუშავეთ. კრიტიკას, თუ საფუძვლიანი და მისაღები იქნება, გავითვალისწინებთ. ეს დემოკრატიული ქვეყნისთვის ჩვეულებრივი, დამახასიათებელი პროცესია. რაც შეეხება შეხვედრას, ბატონ ბიძინას არ შევხვედრილვარ და ამ საკითხზე არ გვიმსჯელია.

**— ბიძინა ივანიშვილმა თბილისის მერიის მაღალჩინოსნების ხმაურიანი დაჭერების შემდეგ გისაყვედურათ, როცა ერთმანეთის მიყოლებით გამოვლინდა კორუფციის ფაქტები. ამის მიზეზი საბოტაჟის პარალელურად მუშაობა იყო?**

— შეიძლება ითქვას, ჩვენთან მეტ-ნაკლებად გახმაურებული, დაკავების სამი ფაქტი გამოვლინდა, სადაც საჯარო სამსახურისთვის შეუფერებელ საქმიანობას ჰქონდა ადგილი. ვიდრე სამართალდამცავი ორგანოები საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, ზედმეტი შეფასებებისგან თავს შევიკავებ.

ეს ძალიან კარგია პრევენციისთვის, რათა სხვა ადამიანებს არ წაუცდეთ ხელი და არავინ გაბედოს, ვინმეს ხარჯზე, საკუთარი ჯიბე გაისქელოს! სამართალდამცავებს ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია მივაწოდეთ, აქტიურად ვიმუშავეთ და მომავალშიც ვიმუშავებთ, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს. თუმცა, როდესაც უზარმაზარ სისტემასთან გვაქვს საქმე, რომელიც საკმაოდ დიდბიუჯეტიანია, სადაც ბევრი ნებართვა გაიცემა, შესაძლოა, გარკვეული გამონაკლისებიც დაფიქსირდეს. მთავარია, ანტიკორუფციული ქმედებები იყოს ისეთი, როგორც ღირსეულ ქვეყანას ეკადრება.

**— რა კავშირი აქვს ჯოკია ბოდოკიას თქვენს ძმასთან, ირაკლი ნარმანიასთან და მიჰქონდა თუ არა ქრთამი მასთან?**

— შემიძლია დავადასტურო, რომ არანაირი კავშირი არ აქვს ჯოკია ბოდოკიას ჩემს ძმასთან. ბოდოკიამ ჩემი ძმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაიცნო, როდესაც შეხვედრების ორგანიზებაში იყო ჩართული, ხოლო ჩემი ძმა გვერდში მედგა და წინასაარჩევნო კამპანიაში მეხმარებოდა. ეს ყურით მოთრეული თემაა და იმ ადამიანების სინდის-ნამუსზე იყოს, რომლებიც ამ ინფორმაციას ავრცელებენ, ისევე, როგორც ბევრი, სხვა დეზინფორმაციაც გაავრცელეს და უნდათ, ჩირქი მოგვცხონ. თუმცა მინდა ვუთხრა, რომ ამას ვერ მიაღწევენ! მათ შორის რაიმე კავშირი არ არსებობდა, მით უმეტეს, ბოდოკიასგან თანხის მიღება, ჩემი ძმისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ასე რომ გვეკეთებინა ფული ძმებს, დღეს გაცილებით მდიდრები ვიქნებოდით, მაგრამ ყოველთვის საკუთარი გამომუშავებით ვცხოვრობდით, რადგან ეს ჩვენი ოჯახის ტრადიციაა.

**— უკაცრავად, მაგრამ 100 000-დოლარიანი მანქანით დადიხართ, რომელიც სანდრა რულოვსის მშობლებს ემსახურებოდა...**

— დიახ, ასეა, მაგრამ ეს დეზინფორმაცია ქალბატონმა სევდია უგრეხელიძემ გაავრცელა, თითქოს ვერ გავბედე, მერიის სახსრებით მეყიდა მანქანა და სახელმწიფო დაცვის სამსახურს ვაყიდინე. სინამდვილეში, თბილისის მერს ავტომობილი არ ჰყავს. სახელმწიფო დაცვის სამსახურის მანქანა მემსახურება, რომელიც ამ სამსახურისგან ვითხოვეთ. ეს არის 2011 წელს გამოშვებული და არა სპეციალურად ნაყიდი ავტომობილი და ვიდრე ჩვენამდე მოვიდოდა, დიახ, ეს მანქანა სანდრა რულოვსის ოჯახს ემსახურებოდა. „ტოიოტა ლანდ კრუიზერი“ სახელმწიფო დაცვის სამსახურს ვეთხოვეთ და არ არის 100 000-დოლარიანი. თუ სადმე ნახავთ ქალაქის მერს, რომელიც ნათხოვარი მანქანით დადის, ძალიან საინტერესო იქნება ჩემთვის.

**— ნათხოვარი მანქანებით მოსიარულე მერები არა, მაგრამ მინისტრები ველოსიპედებზე მინახავს.**

— ეგ მეც მინახავს...

**— თბილისის მთავარი პრობლემა საცობებია. გაქვთ გეგმა, რომლითაც ამ პრობლემას მოაგვარებთ და ქალაქში მოძრაობას განტვირთავთ?**

— საცობები ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი, მთავარი გამოწვევაა. რამდენიმე, ერთობლივ ღონისძიებას განვახორციელებთ. პირველ რიგში, ეს არის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გზების დაგება), ჭის თავსახურების მოწესრიგება, რათა მანქანებმა მოძრაობის დროს, სიჩქარე არ შეანელონ და ხელი არ შეუწყონ საცობს. ვაგრძელებთ „ჭკვიანი შუქნიშნების“ პროექტს, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში დაიწყო. რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტიც დავგეგმეთ, რაც ცალკეულ მონაკვეთებში მოძრაობას განტვირთავს, ვგულისხმობ პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას, ლაგუნა ვერესთან გზის გაფართოებას, ვაშლიჯვართან ასასვლელ-ჩამოსასვლელი გზის გაკეთებას. საპატრულო პოლიციასთან ვთანამშრომლობთ და, თუ რომელიმე ობიექტი ან ჯიხური ხელს უშლის ხილვადობას, ერთობლივად ვაწესრიგებთ. გვინდა, თბილისი „ჭკვიანი ქალაქი“ (SMART CITY) გახდეს, სადაც მოძრაობის მართვა ელექტრონულად ხდება. ამ მხრივ ვთანამშრომლობთ გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან KFW. ვფიქრობთ, მათი მხარდაჭერით შევქმნით ამ კონცეფციასა და მოდელს. რამდენიმე დღის წინ, აზიის განვითარების ბანკთან შევთანხმდით, რომ ისინი გაგვიკეთებენ ტრანსპორტის სისტემის მოძრაობის მოდელს, ანუ ტრანსპორტის „მასტერპლანს“, რაც დედაქალაქის განაშენიანებისა და განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილი იქნება. იქ იქნება მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირებისა და ორგანიზების საკითხები, შესაბამისად, ავტობუსების მოძრაობა უფრო მოქნილი გახდება. არ არის გამორიცხული, ბევრი სატრანსპორტო მარშრუტი შეიცვალოს კიდეც. რაც მთავარია, დავიწყეთ მრავალსართულიანი პარკინგის პროექტი, რომელიც მალე, მთავრობის ეკონომიკის საბჭოზე დამტკიცდება.

**— ყვითელი სამარშრუტო ტაქსების ტენდერისა და ავტობუსების ლიცენზირების საკითხები უნდა შეგესწავლათ, ხელახალი ტენდერები გამოგეცხადებინათ, მაგრამ პროცესი შეჩერდა. კერძო ტაქსების ლიცენზირებაც აუცილებელია და ამაზე მუშაობთ?**

— რამდენიმე ღონისძიება დავგეგმეთ. პირველ რიგში — მეტროპოლიტენის ვაგონების მოდერნიზაცია. ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, დამატებითი სადგურის „უნივერსიტეტის“ მშენებლობას იწყებს, რომელიც ვაჟა-ფშაველას გამზირსა და უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს დააკავშირებს. მუნიციპალურ ავტობუსებს ეტაპობრივად ჩავანაცვლებთ, თუმცა ეს საკმაოდ ძვირია და დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობა არ გვაქვს. ამიტომ ვამზადებთ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტს, რომელსაც საჯაროდ გამოვაცხადებთ, რათა გამარჯვებულმა კომპანიამ ავტობუსები ეტაპობრივად ჩამოიყვანოს. რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს, კერძო კომპანიის საკუთრებაა, მაგრამ ვთხოვთ, ზაფხულში, კონდიცირების საკითხი მოგვარდეს. კერძო ტაქსების ლიცენზირება კი პირდაპირ სოციალურ ფონს უკავშირდება, რადგან ბევრი მძღოლისთვის ტაქსზე ყოველდღიურად მუშაობა, ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალებაა.

**— შარშან, 40-ზე მეტი ქუჩის რეაბილიტაცია განახორციელეთ, მაგრამ თბილისში გზები მაინც მოუწესრიგებელია. შიდაგზების რეაბილიტაციის პროექტი რატომ შეჩერდა?**

— არაფერი შეჩერებულა, უბრალოდ, ჩვენი წინამორბედები აანონსებდნენ, მაგრამ ამის უკან არც კონკრეტული პროექტი და არც კონკრეტული დაფინანსება იდგა. თბილისის მთავრობაში მოსვლიდან წლის ბოლომდე, დაახლოებით, 25 მილიონი ლარის საგზაო სამუშაოები შევასრულეთ. 2015 წელს, ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტით, 30 მილიონი ლარი გვაქვს განსაზღვრული, საიდანაც 20 მილიონი ლარის სამუშაოები კეთილმოწყობის სამსახურის საშუალებით ხორციელდება, 10 მილიონი ლარის სამუშაოებს — რაიონული გამგეობები შეასრულებენ.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

# გაუმართავი პროექტები, ჩავარდნილი ტენდერები და სიცოცხლისთვის საშიში გვირაბი

## რა ხდება მერიის ტექნოლოგიური განვითარების ფონდში

ლევან ღვინიაშვილი

**გაგიკვირდებათ და, დღევანდელ სიტუაციაში, საპარლამენტო უმცირესობის წევრებიც კი აღიარებენ, რომ ბიზნესი ტერორისგან თავისუფალია და ნებისმიერს თამამად შეუძლია ბიზნესსაქმიანობის წარმოება. თითქოს ერთადერთ პრობლემად, არასათანადო ბიზნესგარემო და არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა სახელდება, თუმცა...**

სახელმწიფო ტენდერების გამჭვირვალობასა და გამარჯვებული ფირმების პასუხისმგებლობაზე მთავრობის უმაღლესი პირები არაერთხელ აკეთებენ განცხადებას და რეალურად, ასეც უნდა იყოს. თუმცა სიტყვა „იყოს“, არ ნიშნავს, რომ არის. სურვილი ერთია, რეალობა მეორე და სწორედ ამ მწარე რეალობას სოლიდური ფირმების არამარტო ინტერესები, არამედ იმიჯი და ფინანსები ეწირება, ასეულობით ადამიანი უმუშევარი რჩება.

შარშან, შემოდგომაზე, თბილისის მერიის სსიპ-მა, ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა 2.7 მილიონი ლარის მოცულობის ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებულ კომპანიას დიღმის ჭალებში სპორტულ კომპლექსთან მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. აღნიშნული კომპლექსი 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვისაა განკუთვნილი. სატენდერო ვადის გასვლის შემდეგ გაირკვა, რომ გამარჯვებული კომპანია „მშენგრუპი“ გახდა. ფირმამ სამუშაოები დადგენილ ვადაში დაიწყო, მაგრამ მალევე გაჩერდა.

**„პროექტის „მშენგრუპისთვის“ გადაცემის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ 1150-მეტრიანი გზიდან, 680 მეტრზე სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იყო. გზის გარკვეულ ნაწილზე უნდა აშენებულიყო ფეხით მოსიარულეთა გვირაბი, რომლის გადახურვის ფილა არ იყო მყარი და ამ კონსტრუქციას, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნა. ასევე, გარკვეული პრობლემები იყო გზის საყრდენ კედელსა და განათების ბოძებთან დაკავშირებითაც. ბოლო 300 მეტრზე კი, საჭირო იყო 65 ერთეული ხის მოჭრა, რომელთაგან 5 ხე წითელ წიგნში შედის“,** — ჩვენთან საუბარში განაცხადა კომპანიის დირექტორის მოადგილემ **ალექსი ჯავახიშვილმა**.

რაღა თქმა უნდა, აღნიშნული ხარვეზის აღმოჩენის შემდეგ, „მშენგრუპმა“ ხარვეზების გამოსასწორებლად ტექნოლოგიური განვითარების ფონდს წერილით მიმართა. კომპანიის წერილში აღნიშნული იყო, რომ თუ ხარვეზები არ გამოსწორდებოდა და პროექტი კორექტირებას არ განიცდიდა, სამუშაოები ვადაში ვერ დასრულდებოდა. თბილისის მერიის სსიპ-ის ტექნოლოგიური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა, კახა გვანცელაძემ „მშენგრუპის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. ბატონი კახა ზეპირსიტყვიერად დაპირდა, რომ არსებული პრობლემების მოგვარებაში პირადად დაეხმარებოდა, სანაცვლოდ კი, კომპანიისგან წერილი მოითხოვა, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ პრობლემები მოგვარებულია. რბილად რომ ვთქვათ, საქმე უპასუხისმგებლობის ზეიმთან გვაქვს, თუმცა... ამ შეხვედრის შემდეგ, „მშენგრუპს“ ფონდის მხრიდან არანაირი პასუხი აღარ მიუღია.

უკვე ერთი კვირის შემდეგ, ანუ 10 ნოემბერს, კომპანიამ თბილისის მერიას მიმართა. თბილისის მერიამ „მშენგრუპი“ „სინათლის ქალაქთან“ გადაამისამართა. „სინათლის ქალაქმა“ — მე რა შუაში ვარო და, „მშენგრუპი“ ისევ მერიასთან გადაამისამართა. პროცესები თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, მერიის თანამშრომლებს სულ არ ადარდებდათ, რომ კომპანიას სამუშაოების შესრულების ვადა ეწურებოდათ და, სავარაუდოდ, „მშენგრუპი“ ვალდებული იყო, მერიაში „ჯოკია ბოდოკია“ მოენახა, თუმცა კომპანიამ ეს არ გააკეთა. მერიამ კი ის გააკეთა, რაც არ უნდა გაეკეთებინა — გამარჯვებული კომპანია, უბრალოდ, გაწირა.

დეკემბერში მოხდა ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე — „მშენგრუპს“ ცალმხრივად შეუწყვიტეს ხელშეკრულება და ჯარიმის სახით, მილიონ ლარამდე თანხის გადახდა დააკისრეს. უფრო კონკრეტულად კი, 17 დეკემბერს, ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა, გეგმა-გრაფიკით შესასრულებელი სამუშაოების ვადაგადაცილებისთვის დაკისრებული ჯარიმების გამო, რომელიც ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს აჭარბებდა, „მშენგრუპს“ ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყვიტა.

ამის შემდეგ პროცესები უფრო საინტერესოდ განვითარდა — ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა, 2015 წლის იანვარში, სამუშაოების გასაგრძელებლად, პირდაპირი შესყიდვის წესით, კომპანია „კალასი“ დაიქირავა და პროექტი მას გადასცა. ყველაზე საგულისხმო კი ისაა, რომ მერიის სსიპ-მა „მშენგრუპის“ პრეტენზიები გაითვალისწინა და „კალასს“ უკვე დაკორექტირებული და გახანგრძლივებული ვადით არსებული პროექტი დაუდო მაგიდაზე. ანუ, ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა აღიარა, რომ პროექტი შეცდომით ჰქონდა გაკეთებული, თუმცა ეს „მშენგრუპთან“ კი არა, თავისთვის აღიარა და „კალასი“ დაიქირავა. ახლა იურისტობაზე ნამდვილად არ დავდებთ თავს, მაგრამ ის რომ გაკორექტირებული, ვადაგაგრძელებული პროექტი, რომლის ღირებულებაც 2 მილიონს აჭარბებს, ერთ პირთან მოლაპარაკებით რომ გადადის ერთი ფირმიდან მეორის ხელში, ეჭვებს ნამდვილად აღძრავს.

**„თუ ვინმე მაინც შეასრულებდა ამ პროექტს დადგენილ ვადებში, სისხლის სამართლის დამნაშავე უნდა გამხდარიყო, რადგან უნდა მოეჭრა წითელ წიგნში შესული ხეები და აეგო ისეთი გვირაბი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა მოქალაქეებისთვის. ჩვენ ვარჩიეთ, გვებრძოლა პროექტის შესაცვლელად, ვიდრე გავმხდარიყავით სისხლის სამართლის დამნაშავეები და სამუშაოები ამ გზით მიგვეყვანა ბოლომდე“,** — ამბობს ჯავახიშვილი.

„მშენგრუპმა“ კაცისმკვლელი გვირაბის აგებაზე უარი თქვა, იგივეს იტყოდა „კალასიც“ და ამიტომ მოხდა ის, რაც მოხდა — „მშენგრუპის“ აღმოჩენილი ხარვეზი რაღაცნაირად „კალასს“ წაადგა. რა თქმა უნდა, ჩვენ მერიის სსიპ-ის ხელმძღვანელის პოზიციითაც დავინტერესდით და ის დაპირებაც შევახსენეთ, რომლის მიხედვითაც მას ხარვეზები უნდა გამოესწორებინა.

**„მშენგრუპმა“ დაარღვია ხელშეკრულების ვადები. დაახლოებით, 20 დღე გადააცილა დაგეგმილ გრაფიკს, რის გამოც ხელშეკრულება შევუწყვიტეთ. არსებობდა მხოლოდ უმცირესი ტექნიკური პრობლემები, რომლებმაც არ შეიძლება შეაფერხოს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტისთვის სამუშაოების მსვლელობა. ის, რომ ვინმეს რამეს დავპირდი, არის სრული ნონსენსი. მე, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მოხელე ვარ, რომელიც ექვემდებარება კანონს. არავითარი დაპირებების გაცემა, კანონს ზემოთ, არ შემიძლია. ამ შემთხვევაში, მთავარი იყო ხელშეკრულება და ხელშეკრულების ვადები, რომელიც, სამწუხაროდ, დაირღვა“,** — ამბობს **კახა გვანცელაძე**.

იმის მტკიცებას, რომ ბატონი გვანცელაძე ყველაფერში ტყუის და „მშენგრუპი“ ყველაფერში მართალია, ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ ეგებ ვინმემ მაინც აგვიხსნას ის, როგორ მოხდა, რომ 2.7 მილიონის ღირებულების პროექტზე ტენდერში გამარჯვებული კომპანია მარტივად გაწიეს გვერდით, შემდეგ ტენდერის გამომცხადებელმა ხარვეზები გამოასწორა, „მშენგრუპი“, უბრალოდ, ფეხებზე დაიკიდა (მერიამაც და სინათლის ქალაქმაც და ყველამ, ვისაც არ დაეზარა) და სხვა კომპანიას საათბურე პირობები შეუქმნა — ტენდერის გარეშე გამზადებული პროექტი მისცა და თან ვადა გაუხანგრძლივა.

„ვერსიის“ ინფორმაციით, საქმეს სასამართლო განიხილავს და იმედია, ისიც მერიასავით არ მოიქცევა. თუ „მშენგრუპს“ იქაც ჯოკია ჰყავს მოსაძებნი, ეგებ ახლავე თქვან?!



# ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ნარმანიასთან

*მე-3 გვერდიდან*

დაზოგილი თანხებითა და ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც თბილისის საკრებულოშია ინიცირებული, 5 მილიონი ლარის ოდენობით, საგზაო სამუშაოების დაფინანსებას ვზრდით, რათა მეტი გზის მოწესრიგება შევძლოთ. ძირითადი აქცენტი დედაქალაქის შემოგარენზე ავიღეთ, ამიტომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს შედარებით ნაკლებად დაეტყო, სადაც გზების მიმდინარე შეკეთებით შემოვიფარგლეთ.

**— თბილისის მერიაში, განსაკუთრებით ახლადდანიშნულ კადრებში, ნეპოტიზმის ფაქტები გამოვლინდა, ვგულისხმობ ანი მიროტაძის დის, ზურაბ ტყემალაძის სიძისა და გია ვოლსკის ნათესავის დანიშვნას, როგორ შეარჩიეთ ეს კადრები?**

— ნეპოტიზმის პრინციპული წინააღმდეგი ვარ! ყოველთვის მოვუწოდებ ჩვენს თანამშრომლებს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი და დავალებული მაქვს კიდეც აუდიტის სამსახურისთვის, ასეთი შემთხვევები მოიკვლიოს. თუმცა რამდენიმე შემთხვევა გვაქვს და დასამალი არაფერია. თუ ვინმე მოვალეობის შემსრულებლად დროებითაა დანიშნული, არ ნიშნავს, რომ აქ მუდმივად იმუშავებს, რადგან წინ კონკურსია. დროებით დანიშნულ კადრებს აუცილებლად მოუწევთ კონკურსის გავლა. ამ თვალსაზრისით, დრამატული სურათი არ გვაქვს და პირადად, მომავალშიც შევეწინააღმდეგები ნეპოტიზმს.

**— ტესტირებაც ხმაურიან თემად იქცა, ისეთი ტენდენცია გამოიკვეთა, რომ პროფესიონალები, რომლებმაც გამოცდები ჩააბარეს, სამსახურიდან გაუშვით, რადგან ნაციონალურ მოძრაობას უჭერდნენ მხარს და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, რომლებიც ჩაიჭრნენ, დატოვეთ.**

— გააჩნია, ვინ არის ამ ინფორმაციის წყარო. როდესაც მოვედით, ვთქვით, რომ პროფესიონალ კადრებს შევინარჩუნებდით. შეგიძლიათ, სტატისტიკა ნახოთ, რამდენი ადამიანი მუშაობს, რომლებმაც ბარიერი გადალახეს და გასაუბრება გაიარეს. თუმცა კონკურსის შედეგად, ახალი კადრებიც შემოვიდნენ, რაც ბუნებრივი პროცესია. საკმაოდ ბევრი ვაკანსია დარჩა კონკურსების შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ მოვალეობის შემსრულებლები უნდა დაგვენიშნა, სხვა შემთხვევაში, სამსახურების საქმიანობა გაჩერდებოდა. გიმეორებთ, ეს ადამიანები მუდმივად არ დანიშნულან, უახლოეს მომავალში, ამ ვაკანსიებზე კონკურსი გამოცხადდება, მოუწევთ, კონკურსი გაიარონ. ამ პროცესის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, კანონმდებლობა მაქსიმალურად დავიცავით, ჩავრთეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ზოგი კომისიის წევრი იყო, ზოგი დამკვირვებელი და კონკურსები ასე ჩავატარეთ. თუ ვინმეს იმის განცდა აქვს, რომ დაიჩაგრა, შეუძლია, სასამართლოს მიმართოს.

**— სიდა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა, ზვიად დევდარიანმა რატომ დატოვა კომისია, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ გამოცდებზე საშინელება ხდებოდა, რამდენად არგუმენტირებული იყო მისი პოზიცია?**

— საშინელება არ ხდებოდა. რატომ დატოვა კომისია, არ ვიცი, არ შევხვედრილვარ და არ მისაუბრია. უმჯობესი იქნებოდა, ბოლომდე დარჩენილიყო. დიდი შრომა გავწიეთ ამ კონკურსებში. თუ მსვლელობისას ფიქრობდა, რომ გამოსასწორებელი იყო რამე, ეთქვა და გავითვალისწინებდით. პროცესი ღია და გამჭვირვალე იყო, ყველაფერი დემოკრატიულად მიდიოდა და მიდის.

**— ჩაშლილი ტენდერები „ქართული ოცნების“ პრობლემაა, თბილისის მერიაში რატომ ჩაშალეთ, კონკრეტული ფაქტები გქონდათ?**

— რამდენიმე თვალსაჩინო ფაქტი იყო, ამიტომ როდესაც თბილისის მთავრობაში მოვედით, სამართალდამცავ ორგანოებში გადავგზავნეთ მასალები. საფუძვლიანი ეჭვი გაგვიჩნდა, რომ კანონმდებლობა ირღვეოდა, საბიუჯეტო სახსრები არაეფექტურად იხარჯებოდა, ტენდერებში სამუშაოების შესრულების გრაფიკი გაწერილი არ იყო, გათვალისწინებული არ იყო გარანტიები, ან იმაზე მცირე გარანტიები არსებობდა, ვიდრე ნორმალურ პირობებში იყო საჭირო. ამიტომ, შარშან აგვისტოში, ცალკეული ტენდერები ჩავშალეთ. ვიდრე ძიება არ დასრულდება, სასურველი არ არის, კონკრეტული ფაქტები დავასახელო, თუმცა ვასახელებ მაგალითებს, როდესაც ცალკეულ მაღალჩინოსნებთან დაახლოებული კომპანიები, ექსკლუზიური წესით ასრულებდნენ სამუშაოებს, თანაც საბაზრო ფასებთან შედარებით, ბევრად ძვირადაც კი.

**— „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების გადახედვის მიზნით, საერთაშორისო აუდიტორული კომპანია დაიქირავეთ, რომელსაც ფინანსური და სამართლებრივი ანალიზი უნდა ჩაეტარებინა. შემოწმება დასრულდა?**

— კომპანია „ესტ ენდ იანგმა“, ჩვენი დავალებით, უკვე დაასრულა „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი და ფინანსური ანალიზი. ბევრი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. ვნახეთ, რომ მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან, გულგრილ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი. ის, რისი ეჭვიც გვქონდა, გამართლდა, რადგან ხელშეკრულება ცალმხრივადაა გადახრილი კერძო კომპანიის მხარეს. სამი მთავარი მოთხოვნა გვქონდა, რომელიც უცვლელია და ვფიქრობ, „სითი პარკმა“ უნდა გაითვალისწინოს. პირველი — ავტომანქანები საჯარო ავტოსადგომზე არ უნდა გადაიყვანონ და ადგილზე დააჯარიმონ, მეორე — აღდგეს შემოსავლების განაწილების ადრეარსებული სქემა კომპანია „სითი პარკსა“ და მუნიციპალიტეტს შორის, რათა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსავალი არ დაკარგოს და მესამე — ეტაპობრივად შეიზღუდოს ტროტუარებზე პარკირება, რადგან ეს ქვეითად მოსიარულეებს ხელს უშლის.

**— ყოველთვის გახსნილი იყავით ჟურნალისტებთან, მაგრამ რატომ მიუხურეთ კარი, უფრო ზუსტად, უკანა კარიდან რატომ გახვედით?**

— ვინ თქვა, რომ ჟურნალისტებს კარი მივუხურე, ან უკანა კარიდან გავიპარე? მსგავსი რამ არ მომხდარა, რადგან ნებისმიერ მედიასაშუალებასთან ყოველთვის მზად ვარ სათანამშრომლოდ. მათ შორის ისეთებთანაც, რომლებიც ჩვენდა სამწუხაროდ, ხანდახან თეთრზე შავს ამბობენ, ან ცდილობენ, ტენდენციურები იყვნენ. მათთანაც კი თბილი და უშუალო ურთიერთობა მაქვს და ასე ვაპირებ გაგრძელებას.

**— თბილისის მთავრობის სხდომები რატომ დახურეთ?**

— თბილისის მთავრობის სხდომები დახურული არ არის. მედიასაშუალებები ყოველთვის იღებენ კადრებს, ჩვენს წინასწარ განცხადებებსაც იწერენ და ამის შემდეგ კომენტარებსაც ვაკეთებთ.

**— ევროპის ისეთი ქალაქი დამისახელეთ, სადაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, პოლიტიკური ნიშნით, სამსახურიდან რიგით ჩინოვნიკებს ათავისუფლებენ.**

— სიმართლე გითხრათ, ასეთ ქალაქს ვერ ვიხსენებ. თუმცა ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდათ ამ კითხვით, ამიტომ უფლებას ვიტოვებ, არ გიპასუხოთ.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# ვინ შეცვლის მაჟორიტარებს პარლამენტში

## ალტერნატივა — პარტიული სიები, „თბილისელების პარლამენტი“ თუ ორპალატიანი ორგანო

**პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დეპუტატებს არჩევნების მაჟორიტარული წესის გაუქმებისა და საარჩევნო კოდექსის შეცვლისკენ მოუწოდა. მეტიც, მისი თქმით, პარლამენტმა ამ ცვლილებებზე მუშაობა გაზაფხულზევე უნდა დაასრულოს, რათა მომავალი არჩევნები გაუმჯობესებული სისტემით ჩატარდეს. ამით აღფრთოვანებული არავინ დარჩენილა, თვით კოდექსზე მომუშავე არასაპარლამენტო ოპოზიციაც კი. სახელისუფლო პარტია კი აღშფოთდა, თუმცა „ოცნების პასუხი“ კონკრეტულად ამ საკითხზე, არ მოგვისმენია.**

თავად არჩევნების მაჟორიტარული წესი, როგორც პრობლემა, არახალია და ამაზე ლამის მთელი საქართველო თანხმდება, პარლამენტში არჩეული 73 მაჟორიტარისა და ხელისუფლების ერთი შტოს გარდა. ცოტა ხნის წინ, ე.წ. ინტერპარტიულმა ჯგუფმა საარჩევნო კოდექსის თემატიკაზე მემორანდუმი შეადგინა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება შეიტანა. მემორანდუმს კი ხელს დავით უსუფაშვილი, ნაციონალები, ალასანია, თითქმის ყველა არასაპარლამენტო პარტია და არასამთავრობოები აწერენ. ამ პროცესებსა და მოლაპარაკების მაგიდისმიღმა მხოლოდ პარტია „ქართული ოცნებაა“ დარჩენილი.

მოქმედი საარჩევნო სისტემით, დღეს პარლამენტში პარტიული სიით 77, მაჟორიტარულით წესით კი, 73 დეპუტატია არჩეული. რაკი ინიციატივას მხარს რესპუბლიკელებიც უჭერენ, ნაციონალებიცა და ალასანიას პარტიაც, „ოცნების“ რამდენიმე წევრის ხმაა საჭირო, რათა ამ საკითხზე საკონსტიტუციო უმრავლესობა შედგეს. თუმცა პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, „ხმები“ დეპუტატებმაც „დაკარგეს“. დანარჩენები ერთ აზრზე კი არიან, მაგრამ ჯერ მოქმედი სისტემის ალტერნატივაზე ვერ შეთანხმებულან: როგორც ინტერპარტიულ ჯგუფს, ანუ არასაპარლამენტო პარტიებს მიაჩნიათ, არჩევნები რეგიონულ-პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს. ანუ 100 დეპუტატი საერთო პროპორციული წესით, ჩვეულებრივი პოლიტსიებით უნდა ავირჩიოთ, დანარჩენი 50 კაცი კი რეგიონულ-პროპორციულით. ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო ოლქები გამსხვილდება და მაგალითად, ქუთაისის, სამტრედიის და ა.შ. მაჟორიტარების ნაცვლად, იმერეთის მაჟორიტარები გვეყოლებიან. არასამთავრობო სექტორის აზრით კი, ყველა დეპუტატი მხოლოდ რეგიონულ-პროპორციული სისტემით უნდა აირჩეს. სიმართლე ითქვას, მინუსი და ხარვეზი დღევანდელ კოდექსსაც უხვად აქვს და ოპოზიცია-არასამთავრობოების იდეასაც. მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარებისას ამომრჩეველთა ხმები „იყლაპება“, რადგან ზოგ ოლქში ერთ კაცს 5 000, ზოგან კი 50 000 ადამიანი ირჩევს. მთლიანად რეგიონულ-პროპორციული სისტემით კი, პარლამენტის უდიდეს ნაწილს თბილისი დაკომპლექტებს და რეგიონები წარმომადგენლობების გარეშე დაგვრჩება. ფაქტია, ხელისუფლება დუმს, მეორე მხარეს კი არ აქვს კონკრეტული, ჩამოყალიბებული და დასაბუთებული პასუხი კითხვაზე — მაჟორიტარული წესის გაუქმების შემდეგ, რა სისტემაზე გადავდივართ და როგორ აირჩევს რეგიონის მოსახლეობა წარმომადგენლობას პარლამენტში? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ ინტერპარტიული ჯგუფის წევრსა და ქდმ-ს ყოფილ წარმომადგენელს ცესკო-ში, **გოჩა ჯოჯუას,** რომელიც საარჩევნო საკითხებში კარგად ერკვევა: **„როცა პრეზიდენტს შევხვდით, ითქვა, რომ მაჟორიტარული სისტემა, შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებით, უნდა გაუქმდეს. ამაზე ოპოზიცია, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ექსპერტთა კლუბი, არასამთავრობო ორგანიზაციები ვთანხმდებით. ხოლო როგორი უნდა იყოს პროპორციული სისტემა, ჯერ აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენს მემორანდუმზე სახელისუფლო პარტიის გარდა, ხელი მთელმა საქართველომ მოაწერა, „ოცნებასთან“ კი აქამდე მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომაც კი არ მოხერხდა. პრეზიდენტის ამ განცხადებასაც იგივე შედეგი ექნება, რაც ჩვენსას — საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების უფლება მას სამართლებრივად არ აქვს, პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში, ერთი კერძო პირია“.** კითხვაზე, რა არის მაჟორიტარული სისტემის ალტერნატივა და რას სთავაზობს ოპოზიცია რეგიონის მოსახლეობას, ჯოჯუა ასე გვპასუხობს: **„ამას არ აქვს მნიშვნელობა. აქვე, შეიძლება, ერთი მიღწევა ის იყოს, ხელისუფლება თუნდაც იმაზე შეგვითანხმდეს, რომ 2016 წლის პარლამენტი არსებული სისტემით დაკომპლექტდეს, ყველა მომდევნო არჩევნები შეცვლილი კოდექსით ჩატარდეს. ასევე, იმაზე ფიქრიც შეიძლება, რაც პრეზიდენტმა ჩვენთან შეხვედრისას თავად გააჟღერა — შესაძლოა, მაჟორიტარები მეორე პალატაში გადავიდნენ“.** ორპალატიანი პარლამენტის შექმნის იდეა საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაშიცაა ჩადებული, მაგრამ ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღსდგება, ქდმ-ს ნაწილის ლიდერი, გოჩა ჯოჯუა კი საკითხს პირიქით სვამს: **„საკითხავია, ეს საკითხი აფერხებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას თუ პირიქით, ხელს უწყობს. იქნებ, ორპალატიანი სისტემაა ტერიტორიების დარბუნებისკენ გადადგმული ნაბიჯი?! იქნებ, სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა თავი ასე უფრო დაცულად იგრძნოს! როცა მეორე პალატაზეა საუბარი, ეს ნიშნავს, რომ მათ უკვე თავიანთი წარმომადგენლობა ეყოლებათ პარლამენტში და ამით გარკვეული გარანტიებიც მეიცემათ. ასევე, არის ვარიანტი დიდ ოლქებში რამდენიმე მანდატის შემოტანაზე. თუმცა დღეს ეს ცალ კარში თამაშია, მსჯელობა მარტო მაშინ შეიძლება, თუ „ოცნება“ დაგვთანხმდება, რომ დავსხდეთ და ვარიანტებზე ვისაუბროთ. ვიდრე პასუხი არ გვექნება, ამ ვერსიების შესახებ ერთმანეთში ვიდავოთ? შეცდომა დავუშვით, ხმამაღლა რომ არ ვთქვით, 2016 წელს არჩევნები ძველი წესით ჩატარდეს, რათა მაჟორიტარებისთვის ეს ცვლილება მტკივნეული არ იყოს, მაგრამ ყველა მომდევნო არჩევნები შეცვლილი სისტემით ჩავატაროთო. თუმცა ხელისუფლება არც ამაზე მოდის“.** მიდის თუ არა საერთოდ რაიმე ტიპის დათმობაზე და რას პასუხობს პრეზიდენტს მთავარი სახელისუფლო პარტია, ამაზე „ვერსიისთვის“ უმრავლესობიდან ერთ-ერთმა პირველმა, ბორჯომის მაჟორიტარმა **გედევან ფოფხაძემ** ისაუბრა:

— არასწორია, რომელიმე კონკრეტული სისტემა სიკეთედ ან ბოროტებად გამოცხადდეს. ორივე სისტემას აქვს თავისი ხარვეზები: მაჟორიტარული არჩევნების დროს რეგიონის მოსახლეობის ხმები, გარკვეულად, იკარგება, პროპორციული არჩევნების დროს — არა, მაგრამ რაიონებს წარმომადგენლები არ ეყოლებათ. მაჟორიტარული სისტემის პლუსია, რომ ბიულეტენში სახელი და გვარი წერია და იცი, ვის ხაზავ. ხოლო როცა მარტო პარტიული სია გაქვს, პირველი პირი შეიძლება მოგწონს, მაგრამ სიაში 11-ე არც იცი, ვინაა. ამიტომ იმის მიხედვით არ უნდა ვიმსჯელოთ, კონიუნქტურულად, ვის რა გვირჩევია. თავადაც მაჟორიტარი ვარ, მაჟორიტარული სისტემის წინააღმდეგ კატეგორიული როგორ უნდა ვიყო? თან საერთო პროპორციული სიებით, პარლამენტში მხოლოდ პოლიტიკური ბომონდი შევა, ვინც თბილისში, თავკომბალა პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია. რეგიონები პროპორციულ სიებში რაღაც დონეზე მაინც იყოს წარმოდგენილი, ამაზე მსჯელობა მართლა შესაძლებელია, მაგრამ ასე კატეგორიულობით რეკომენდაციების მიცემა არ შეიძლება.

— **პირდაპირ რომ ვთქვათ, ყველა ხელისუფლებას უნდა მაჟორიტარული სისტემა და ოპოზიციაში ყოფნისას, აღარ მოსწონს.**

— დიახ, ეს მომენტი არის, რადგან ხელისუფლებას ყოველთვის მეტი შანსი აქვს, მაჟორიტარი გაიყვანოს. კონსტიტუციაში ისიც წერია, რომ პარლამენტის რაღაც ნაწილი პროპორციული, რაღაც ნაწილი მაჟორიტარული წესით უნდა აირჩეს. ამიტომ ან კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს, თუ მაჟორიტარული არჩევნები უქმდება, ან თავად მაჟორიტარული არჩევნების წესი და ვთქვათ, ოლქები მრავალმანდატიანი გავხადოთ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გამორიცხულია, ეს თემა გაზაფხულზე მოესწროს — მაშინ გამოდის, რომ პრეზიდენტი ცვლილებებს იმპერატიულად მავალებს. ხელის გადაგრეხის პრინციპით ხომ არ უნდა აიძულო დეპუტატი, რაღაც შეცვალოს? ბოლობოლო პარლამენტში 70-ზე მეტი მაჟორიტარი გვიზის და მათგან იმის თქმა, მე რომ მაჟორიტარად ამირჩიეს, არასწორიაო, მინიმუმ, უხერხულია.

— **აბა, სადაა გამოსავალი.**

— ალბათ, ერთ-ერთი გამოსავალი მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის დაბალანსება და ხმათა თანაბრობის პრინციპია. ჯამში, სადავო ხომ ისაა, რომ ერთ დეპუტატს ზოგან 5 000 კაცი ირჩევს, ზოგან — 60 000. ამიტომ არავინ უნდა იყოს კატეგორიული: უხერხულია, როცა ერთი ინსტიტუცია მეორეს რაღაცას ავალდებულებს და ეს ასე მიიღეო, გეუბნება. თუ არ ვეთანხმები ამაში, რატომ უნდა მივიღო?

## ვერსიანიუსი

# გამოკითხულთა 85% ევროკავშირში, ხოლო 78% ნატო-ში გაწევრიანების მომხრეა

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა კვლავ ევროპისა და დასავლეთისკენ მიისწრაფვის.

საქართველოს მოსახლეობის 85 % მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, 9% არ უჭერს, ხოლო 6%-ს პასუხი არ აქვს კითხვაზე.

ამის მსგავსად, მოსახლეობის 78% მხარს უჭერს საქართველოს ნატო-ში შესვლას, 15% არ უჭერს, ხოლო 7%-ს პასუხი არ აქვს.

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ეს მხარდაჭერის საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და ყველა დემოგრაფიულ სექტორს მოიცავს.

კითხვაზე, „რას ელით ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერისგან“, პასუხები ასე გადანაწილდა: გამოკითხულთა 26% — ეკონომიკური განვითარება; 16% — უვიზო მიმოსვლის დანერგვა; 12% — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების ზრდა; 4% — ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმუშევრობა და ეკონომიკური განვითარების ნაკლებობა ის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას.

გამოკითხულთა 61% მიიჩნევს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა, 29% ამბობს, რომ არ შეცვლილა, ხოლო 7% მიიჩნევს, რომ მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა. კითხვაზე, როგორ შეიცვალა ბოლო 2 თვეში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა, გამოკითხულთა 50% პასუხობს, რომ გაუარესდა, 45%-სთვის იგივე დარჩა, ხოლო 4%-სთვის მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა.

გამოკითხულთა უმეტესობა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების რიგში პირველ ადგილზე უმუშევრობას ასახელებს (65%), შემდეგ მოდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ტერიტორიული მთლიანობა, სოციალური პრობლემები, ინფლაცია.

გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს, 43%-ს, მომავალში ყველაზე მეტად ომის საფრთხე აშინებს, 15%-ს სუსტი ეკონომიკა, ხოლო 9%-ს რუსეთის აგრესია.

ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ პრობლემებში გამოკითხულთა 81%-მა პირველ ადგილზე ლარის კურსის დაცემა დაასახელა, 45%-მა მაღალი გადასახადები, ხოლო 41%-მა მაღალი კომუნალური გადასახადები.

კიდევ ერთი პრობლემა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობაა შეწუხებული, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ კვლევის შედეგების თანახმად, დაკარგული ტერიტორიებია.

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი — 76 %, ქვეყნისთვის საფრთხის წყაროდ რუსეთის ფედერაციას აღიქვამს. მტრულად განწყობილი ქვეყნების რეიტინგში რუსეთის შემდეგ ყველაზე მაღალი — 5% აქვს აშშ-ს, შემდეგ მოდის თურქეთი — 4% და ირანი — 3%. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 15%-მა ამ კითხვას არ უპასუხა.

ქვეყნის მთავარ პარტნიორად გამოკითხულთა ყველაზე მეტი, 39% აშშ-ს ასახელებს, 36% — აზერბაიჯანს, 33% — უკრაინას, 31% — ევროკავშირს, 19% — თურქეთს, 18% — რუსეთს, სომხეთს — კი 14%.

გამოკითხულთა 90%-ზე მეტი ქვეყნის ურთიერთობას აზერბაიჯანთან, ევროკავშირთან და აშშ-სთან დადებითად აფასებს. თურქეთთან ურთიერთობას დადებითად აფასებს 89%, ხოლო უკრაინასთან — 88%. გამოკითხულთა მხოლოდ 5% აფასებს დადებითად რუსეთთან ურთიერთობას, 85% კი უარყოფითად ახასიათებს. მოსახლეობის 88% ამბობს, რომ რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ კვლავ გრძელდება ან შესაძლებელია, განახლდეს. რუსეთთან დიალოგის გაგრძელებას გამოკითხულთა 85% ემხრობა, 12% კი არ ემხრობა.

კითხვაზე, როგორ შეაფასებდით საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის ქცევას რუსეთთან მიმართებაში, 59%-ს დადებითი პასუხი აქვს, 26%-ს — უარყოფითი, ხოლო 15%-ს პასუხი საერთოდ არ აქვს. მოცემული საერთაშორისო ვითარების ფონზე საქართველოს მაცხოვრებელთა 68% თავს, მეტ-ნაკლებად, დაცულად გრძნობს, 28% კი — დაუცველად.

სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2015 წლის 3-28 თებერვალს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიკითხა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე საქართველოს 1500 მოქალაქე (18 წლის და ზემოთ). კვლევის ცდომილება არ აღემატება 2.5%-ს; პასუხის გაცემის კოეფიციენტი იყო 70%.

*„ვერსიანიუსი“*

## ოზურგეთში „გოლიათი“ დაიბადა

ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის სამშობიარო განყოფილებაში 5 500 კგ. წონის ბავშვი დაიბადა.

ჩოხატაურელი დოლიიძეებისთვის ეს მესამე შვილია, რომელიც საკეისრო კვეთით გაჩნდა.

პატარა ნიაც და დედაც თავს კარგად გრძნობენ.

როგორც სამედიცინო ცენტრის დირექტორი, დავით მდინარაძე ამბობს, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა და 10 წელიწადში ერთხელ ხდება.

*გიორგი სირაძე, „ვერსიისთვის“ გურიიდან*

## ქობულეთში ხანდაზმული ცოლ-ქმარი მეზობლებმა გარდაცვლილი იპოვეს

გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად ბუნებრივი აირის მონყობილობის არასწორ, კუსტარულ მონტაჟს განიხილავენ. **„გარდაცვლილი ცოლ-ქმარი იყო. ისინი მეზობლებმა იპოვეს. აღმოჩნდა, რომ „სოკარს“ ორჯერ ჰყავდა გაფრთხილებული არასწორი მონტაჟის გამო, 17 მარტს გადაუჭრეს კიდეც, მაგრამ მაინც მოახერხეს კუსტარულად გაკეთება“,** — აღნიშნა „ვერსიასთან“ საუბრისას ქობულეთის გამგებელმა, სულხან ევგენიძემ. შს სამინისტროს ინფორმაციით, მოკვლევა 240-ე მუხლით მიმდინარეობს.

*გიორგი სირაძე, ვერსიისთვის „გურიიდან“*

## მოვაჭრე, რომელმაც საქართველოსკენ მომავალი რუსული ტანკების შესახებ თბილისს შეატყობინა, სასჯელს იხდის

სოჭში მცხოვრები მოქალაქე კრასნოდარის იზოლატორში იხდის სასჯელს. ეკატერინე ხარებავა რუსეთის ფედერაციამ „სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურების“ ბრალდებით 2013 წელს დააკავა. რუსული გამოცემა „ნოვაია გაზეტას“ ინფორმაციით, ქალბატონი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარი ფაქტის გამო დააკავეს.

გამოცემის ინფორმაციით, ხარებავა სოჭის ბაზარში მოვაჭრედ მუშაობდა. 2008 წელს, ომამდე რამდენიმე დღით ადრე ადრე შენიშნა, როგორ გადაადგილდებოდა სოჭიდან საქართველოს მიმართულებით რუსული სამხედრო ტექნიკის კოლონები და ამის შესახებ თბილისში მცხოვრებ მეგობარს შეატყობინა.

ხუთი წლის შემდეგ კი სოჭის „ეფ-ეს-ბე“-მ მოვაჭრის წინააღმდეგ საქმე აღძრა „სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურების“ ბრალდებით.

კრასნოდარის მხარის სასამართლომ ხარებავას განაჩენი გამოუტანა და თავისუფლება 6 წლით აღუკვეთა. რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ კი ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

როგორც „ნოვაია გაზეტას" დაკავებულის ადვოკატმა, ლეონიდ ერჩენკომ შეატყობინა, ხარებავას კოლონიაში გადაიყვანენ, სადაც ის კიდევ 4 წელს გაატარებს.

*„პირველი“*

# სპეციალური რეპორტაჟი აუტიზმის ცენტრიდან

## რატომ არ არსებობს ქვეყანაში აუტისტების სტატისტიკა და რას ითხოვენ ხელისუფლებისგან მათი მშობლები

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის საერთაშორისო დღეა. 1980-იანი წლებიდან, აუტიზმის მქონე პირთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუმცა, ეს არ მომხდარა მხოლოდ ფაქტობრივი სტატისტიკის ხარჯზე. ადრე, დიაგნოსტირება იყო განსხვავებული. საბჭოთა კავშირში ასეთი დარღვევა ხშირად „ბავშვთა შიზოფრენიად“ იყო მონათლული, მოგვიანებით კი, ტვინის ორგანულ დაზიანებად იხსენიებდნენ. „ვერსია“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის აუტიზმის ცენტრს ეწვია, სადაც თერაპევტები ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების, ფსიქოლოგიის ფაკულტეტის, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან.**

აუტიზმს ბევრი სიმპტომი ახასიათებს, თუმცა, ერთი ყველასთვის საერთო და დომინანტია — ასოციალურობა. ცენტრი 2010 წლიდან არსებობს. აქაურმა თერაპევტებმა თავიდან გაიარეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ტრენინგი. დღემდე, ცენტრი სტუდენტებისთვის სასწავლო-პრაქტიკულ ბაზად რჩება. ცენტრის ხელმძღვანელი **სოფო კერესელიძე**, აუტისტი ბავშვის დედობამ, 2009 წელს, საქართველოს აუტიზმის ასოციაციის დაარსებამდე მიიყვანა: **„პირველი ცენტრიც ასოციაციის მიერ შეიქმნა. მოგვიანებით, გადავწყვიტეთ, რომ ცენტრის მომავლისთვის, თანამშრომლების პროფესიული ზრდისთვის... უკეთესი იქნებოდა, ცენტრი უნივერსიტეტს შეერთებოდა. ამიტომ, 2014 წლიდან, აუტიზმის ცენტრი ილიას უნივერსიტეტის „ბავშვის განვითარების უნისტიტუტის“ შემადგენელი ნაწილია“.**

სოფო კერესელიძის განმარტებით, საქართველოში აუტიზმის სტატისტიკა არ არსებობს, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ამისთვის საჭიროა ეპიდემიოლოგიური კვლევა, რაც ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ძალიან ძვირი ჯდება. ამის გამო, ცენტრი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტატისტიკით ხელმძღვანელობს, რომლის მიხედვით „მსოფლიო მასშტაბით, ბავშვების დაახლოებით 1%-ია ასეთი. სავარაუდოდ, საქართველოში 7 000-ზე მეტი აუტისტია“.

როგორც უნდა გაგიკვირდეთ, დაავადება, რომელიც ბოლომდე შესწავლილი ჯერ კიდევ არაა, რიგ, ადრეულ შემთხვევაში, ინტენსიური ქცევითი თერაპიის შედეგად, სრულიად იკურნება. **სოფო კერესელიძე: „გვქონია ასეთი შემთხვევები. ადრეული დიაგნოსტიკა უმნიშვნელოვანესია. 18-დან 30 თვემდე რისკ-ჯგუფის პაციენტებისთვის ინტენსიური ინდივიდუალური ქცევითი თერაპია იძლევა შთამბეჭდავ შედეგს — 2 წელიწადში, ასეთი ბავშვების დაახლოებით 50% მიდის ჩვეულებრივ სკოლაში და კარგავს აუტიზმისთვის დამახასიათებელ სიმპტომოკომპლექსს“.**

ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ქალთა კონსულტაციების ექიმებმა პოპულარული ლექციები უნდა წაიკითხონ, რათა გაიზარდოს მომავალ მშობელთა ინფორმირება ორსულობის სწორად მიმდინარეობისა და აუტიზმის რისკის თავიდან ასაცილებლად: **„მაგალითად, არასასურველია ორსულობისას ცხიმიანი თევზის მიღება, რაც ზრდის ორსულის მძიმე მეტალებით ინტოქსიკაციის რისკს. მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარებაზე დაკვირვება 0-ოვანი ასაკიდან. ზოგი აუტიზმის შემთხვევების გაზრდას გარემოს დაბინძურებას უკავშირებს, ზოგი — აცრებს, ზოგი — სოკოვან დაავადებებს. საბოლოოდ, მაინც მივდივართ არაჯანსაღ კვებამდე და გარემომდე“.**

ამბობენ, მოქმედებს გენეტიკაც. არგუმენტად შეიძლება გამოდგეს ის, რომ გოგონებთან შედარებით, ბიჭებში რისკი 4-5-ჯერ მაღალია. ორგანულ დონეზე დგინდება, რომ თუ აუტიზმის სპექტრის დაზიანებები პირველადია, ანუ სხვა დაავადების ფონზე წარმოქმნილი არ არის, პაციენტს არანაირი ორგანული პათოლოგია არ აღენიშნება.

აუტიზმი, როგორც ტერმინი, ჩაკეტილობას და გარემოსთან ურთიერთობის არსურვილს ნიშნავს, თუმცა ეს, მთლად ასეც არ არის: ზოგ ბავშვს ძალიან უნდა კონტაქტი, მაგრამ კომუნიკაციის უნარების არქონის გამო, ვერ ურთიერთობს თანატოლებთან. ისინი განსხვავებულად შეიგრძნობენ გარემოს. ზედმეტად მგრძნობიარენი არიან ისეთი მოვლენების მიმართ, რაც ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, და პირიქით. მაგალითად, დ. თ. კონტაქტურია. უბრალოდ, მას არ ჰქონდა უნარები. ის ახლა 7 წლისაა. 3 წლამდე, ხმოვნებსაც კი ვერ გამოთქვამდა. ახლა კი, სრულყოფილად ამბობს სახელებს. ქალბატონი ქ.ს. 7 წლის დ.თ-ს ბებიაა და ამბობს, რომ მისით ცოცხლობს: **„ჩემი შვილიშვილი ჩემთვის ყველაფერია. კიდევ სამი მყავს, მაგრამ ის მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული, მე კი — მასზე. რთულია, რომ დამოუკიდებლად არც ჭამა შეუძლია, არც საპირფარეშოში შესვლა, ქუჩაშიც ოდნავ თუ მოვადუნე ყურადღება, შეიძლება, დაიკარგოს. სკოლაში წერა უჭირს“.** თავდადებული ბებო გვიმხელს, რომ შვილიშვილმა ცენტრში ისწავლა ჯდომა, მოსმენა. მის შვილიშვილს, ბევრისგან განსხვავებით, თვალის კონტაქტი აქვს, მაგრამ სხვების მსგავსად, გამოკვეთილად თავისი სამყარო გააჩნია: **„სიყვარულის წყალობით, უსიტყვოდ ვუგებ, მაგრამ, მაინც უნდა დაველოდოთ, როდის იტყვის თავად, რა უნდა. ლოგოპედთანაც დაგვყავს და ცხენით თერაპიაზეც“.**

არასოდეს დამავიწყდება, როგორ გამომიწოდა ხელი ამ პატარა ადამიანმა. თითქოს მისი და აქ მყოფი ყველა აუტისტის მეგობარი ვიყავი... 30-მდე ლექსი იცის და სიმღერაც შეუძლია. მეუბნება დედის, დეიდაშვილების, 1 წლის დაიკოს სახელებს. ბოლოს ბებოს წვენს და ლობიანს სთხოვს. თურმე, იშვიათად შივდება, ამიტომ ხელს აღარ ვუშლი.

ხშირად, შეგრძნებების ნაკლებობა ტვინში სენსორულ შიმშილს იწვევს, და სწორედ შესაბამისი აღქმები აისახება მათ არაადეკვატურობასა და ქცევით დარღვევებში. აუტისტებისთვის დამახასიათებელია განმეორებითი ქცევა. **„განსხვავებულობა ზოგჯერ გარკვეული წარმატების საწინდარიც არის. ზოგი კარგად ხატავს, ზოგი — ანგარიშობს... ერთ-ერთი ფსიქოლოგის კვლევებმა აჩვენა, რომ მათ ნაწილს მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტი აქვს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი წარმატებულად ცხოვრობენ. იმისათვის, რომ მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი იყოს მაღალი, საჭიროა, მათი უნარ-ჩვევები თანაბრად განვითარდეს“,** — გვიხსნის ცენტრის ხელმძღვანელი.

სენსორიკასთან ერთად, აქვთ მუსიკისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებიც. **ანა პაპავა** (ფსიქოლოგი): **„ქცევის გამოყენებითი ანალიზის მიმართულებით პრაქტიკა გავიარე. ამერიკელები ჩამოვიდნენ კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, რომლებიც გვიწევენ სუპერვიზიას და ამავდროულად, ხდება ჩვენი სწავლებაც. გვატრენინგებენ და გვაკვირდებიან, როგორ ვმუშაობთ. ეს მეთოდი ნამდვილად ეფექტურია. არსებობს რამდენიმე სახის ინტერვენცია აუტიზმის შემთხვევაში. ქცევის გამოყენებითი ანალიზი ამ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. ეს მეთოდი დაფუძნებულია ბავშვის საყვარელი ნივთების, ანუ ე.წ. განმამტკიცებლების მეშვეობით სხვა საჭირო უნარების შესწავლაზე. ვმუშაობთ ინდივიდუალურად. კურსის ხანგრძლივობა დიდია სკოლის ასაკის ბავშვებისთვის — კვირაში მინიმუმ 5 და სკოლამდელებისთვის — მინიმუმ 9 საათი. ვასწავლით როგორც სოციალურ, ისე აკადემიურ ქცევებს. მაქსიმუმ 12 წლამდე ბავშვები გვყავს. მიღება ჩაწერით ხდება“.**

პატარა ვ.ლ. ჩემი დანახვისთანავე, ამბობს: ბაში ალა (ბაღში არა). თურმე, საბავშვო ბაღი არ უყვარს, ცენტრი — ძალიან. მას ხატვის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს. კითხვაზე, რომელი მულტფილმი უყვარს, ფსიქოლოგის დახმარებით პასუხობს: „მიკი-მაუსი, ტომი და ჯერი, მაქვინის მანქანები, მაშა და დათვი“. ათამდე გვითვლის შეუფერხებლად და ანბანსაც არაკრაკებს.

რეგიონების ცენტრალურ ქალაქებში ინფორმაცია ცენტრების შესახებ მეტ-ნაკლებად არის. ცენტრი სპეციალისტების გაზრდაზე აქტიურად ზრუნავს და გეგმავს, მაღალკვალიფიციური კადრების ბაზად იქცეს. აუტისტების მშობლები და სპეციალისტები მეტ ყურადღებას ითხოვენ სახელმწიფოსგან და სპონსორებისგან. საათი 12,50 ლარია, ეფექტური კურსი კი ინტენსიურ გაკვეთილებს მოითხოვს. თუმცა, ზოგადად, ალბათ მთავარი წახალისებაა. ხშირად, სწორედ სუსტ მხარეებზე ყურადღების გამახვილებით ვკლავთ ნიჭს და პოტენციალს ბავშვში, რომ ფრთები გაშალოს. ასეა აუტისტებთანაც. განსხვავებულობა ხომ ზოგჯერ საინტერესოცაა.

## პატიმარი №0578

ბოლო დროს, საინფორმაციო საშუალებებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ინფორმაცია, რომ ამა თუ იმ ევროპულ ქვეყანაში, ქართული კრიმინალური დაჯგუფებები დააკავეს. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და უნდა ვთქვა, რომ ეს არავის უკვირს, რადგან ბედის (ძირითადად ფულის) საძიებლად უცხოეთში წასული ჩვენი მოქალაქეები ხშირად იძულებულნიც კი არიან, კრიმინალი ჩაიდინონ, ელემენტარულად, საარსებო პირობები რომ ჰქონდეთ. რაც შეეხება ორგანიზებულ დანაშაულს, ეს სხვა განზომილებაა — ჩამოყალიბებულმა კრიმინალებმა კარგად იციან, ევროპელებისთვის ჯერჯერობით უცხოა ის მეთოდები, რომლითაც ისინი საქართველოში ან პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედებდნენ და სანამ „დახვეწილ“ კრიმინალს გამოიძიებენ, ბევრი საქმე კეთდება.

ბოლო დროს კირმინალურ დაჯგუფებებში ქალების რიცხვმა იმატა. ქართველი ქალბატონები არათუ ეხმარებიან მამაკაცებს, არამედ უშუალოდ მონაწილეობენ ძარცვაში, ყაჩაღობაში და ასე განსაჯეთ, წამებაშიც კი...

რუსთავის №17 ზონაში, კახეთის რეგიონის მაყურებელი ნიკა წ. 15-წლიან სასჯელს იხდიდა. ნიკას ქართველმა სამართალდამცავებმა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, ნაცად ხერხს მიმართეს, წამალი ჩაუდეს და „სროკზე“ გამოუშვეს. არადა, ყველამ იცოდა, რომ ესპანეთში მოღვაწე ნიკა, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში მეტსახელად „ჩარლის“ ეძახდნენ, სერიოზულ საქმეებს „არტყამდა“. რატომ ჩარლი?! იმიტომ, რომ ბანდაში მხოლოდ ქალები ჰყავდა, თავად ჩარლი იყო, ქალები კი ჩარლის ანგელოზები. ქართველმა სამართალდამცავებმა მისი „საგმირო საქმეების“ შესახებ იცოდნენ, ესპანელ კოლეგებს მიწერეს კიდეც, მაგრამ ესპანელები ვერაფერს უმტკიცებდნენ იმის მიუხედავად, რომ ქართველები ჯიუტად ამტკიცებდნენ, ბარსელონას გარეუბნებს მთლიანად ნიკა აკონტროლებს და ბინის ყველა ყაჩაღობა სწორედ მისი ორგანიზებულიაო.

ნიკა სამშობლოში არ ჩამოდიოდა, მაგრამ როცა დედა გარდაეცვალა, იძულებული გახდა, რამდენიმე დღით დაბრუნებულიყო და სწორედ მაშინ დააკავეს. ესპანურ საქმეებზე აქ არავინ შეედავა, უბრალოდ „სუბუტექსის“ აბები ჩაუდეს და სასამართლომაც არ დაინდო. ესპანეთში მისი „ანგელოზები“ მარტო დარჩნენ, თუმცა ისინი სხვამ შეიფარა და... ერთი თვის შემდეგ ყველა ქალი დაიჭირეს.

„ნიკუშ, შენზე კახელები მანამდეც ლეგენდებს ჰყვებოდნენ, როცა დაგიჭირეს, ლამის იტირეს და ეგებ შენ მოყვე, რა და როგორ იყო. მით უმეტეს, სანამ დაგიჭერდნენ, კახელებს შენი გამოგზავნილი ფულით არაერთხელ გაუშლიათ ზონაზე მსუყე სუფრა და შენი სადღეგრძელოც დალეულა ჩეფირით“, — პატიმარი №0578 ნიკას კამერაში იყო და კახელების „მაცქერალს“ ესაუბრებოდა.

ნიკა ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს არ ესმოდა, მას რომ ესაუბრებოდნენ, მერე ნელა მოტრიალდა, №0578-ს შეხედა და ღიმილით უთხრა: „იცი, შენნაირი რომ მყოლოდა ესპანეთში, ახლა მილიონერი ვიქნებოდი“.

# „ჩარლის ანგელოზები“ — ქართული კრიმინალური დაჯგუფება ესპანეთში

## როგორ გაწვრთნა ქართველმა „ჩარლიმ“ 7 ქალი ბინების მძარცველად, რაგომ ეძახდა მათ „მურკებს“ და როგორ აღმოჩნდა რუსთავის ციხეში

„ჩემნაირი რად გინდოდა, ანგელოზები გეხვია გარს და მე რაში გამოგადგებოდი?!“ — გაეღიმა №0578-ს.

„რაში და, იქ, ჩემი მურკებისთვის ვინმე ჭკვიანს რომ მიეხედა, ასე სულელებივით არ ჩაცვივდებოდნენ. ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ ეს ყველაფერი მარტივია, მაგრამ სანამ ისინი საქმეს ისწავლიდნენ, ორ წელზე მეტი ვავარჯიშებდი. გესმის შენ?! ახალი სიტყვა ვთქვი ევროპულ კრიმინალში, ასი პროცენტით ქალებისგან შემდგარი დაჯგუფება არავის ჰყოლია და მე მყავდა. ახლა კი...“

„მერამდენედ გავიგე შენი პირიდან სიტყვა მურკა და კარგად ამიხსენი, რას ნიშნავს“, — შეეკითხა №0578.

„მურკას ქალს ვეძახი, იმ ქალს, რომელიც საქმეს აკეთებს და პარალელურად, ურთიერთობა გაქვს, სექსი რა. ეგ არის მურკა, კრიმინალი ქალი, კარგი ქალი, ჯანმრთელი ქალი, მაგრამ მოდი, ახლა ქალებზე საუბარს შევეშვათ, სხვაგან წაგვიყვანს. რა მკითხე წეღან, რა მომიყევიო?!“ — ნიკამ სერიოზული სახე მიიღო.

„მოიცა, კაცო, მომიყევიო კი არა, შენ გინდა თქვა, რომ ის სამი ქალი, რომელიც კამანდაში გყავდა, შენი იყო?!“ — გაოცდა №0578.

„ჯერ ერთი, სამი აქ გაბაზრებული თემაა, სამიც მყავდა და შვიდიც. რაც შეეხება ჩემები იყვნენ თუ არა... ქალს თავისუფლება თუ მიეცი, კრიმინალ ქალს და თუ აგრძნობინე, რომ დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლია, გაგექცევა და თუ არ გაუშვებ, ღამე ყელს გამოგჭრის. ამიტომ, ყველას ვეფერებოდი, არაფერს ვუშლიდი, თითქმის არაფერს, მაგრამ სექსი ყველასთან მქონდა და ყველამ იცოდა. საქმეს ვაკეთებდით და როცა ჰორმონების შემოტევა გვაწუხებდა, არც სექსზე ვამბობდით უარს. სხვა კაცი არც მე მინდოდა, არც იმათ. გარკვეული თანხის დაგროვების სურვილი გვქონდა, მერე ბიზნესი უნდა დაგვეწყო და დამიჯერე, მართლა დავიწყებდით“, — ჩუმად თქვა ნიკამ.

„კარგი, მივალთ მაქამდე, თავიდან დავიწყოთ და ის მითხარი, რა თანხა გინდოდა ასეთი ბიზნესისთვის, რომ ვერ დააგროვე?! ამბობენ, ნიკას ანგელოზებმა ბარსელონაში 300-ზე მეტი ბინა დააყაჩაღესო და თითოდან 1000 ევროს ღირებულების საქონელი რომ წაგეღოთ, ცოტა არ არის“, — გაუკვირდა №0578-ს.

„ცოტა არ არის, მაგრამ ჩვენ ექვსი მილიონი ევრო გვჭირდებოდა. ამ თანხის მესამედი თითქმის შეგროვებული გვქონდა, მაგრამ აგერ, დაიშალა ყველაფერი“, — ნაღვლიანად თქვა ნიკამ.

„და სად დევს ახლა ეს თანხა?!“ — დაინტერესდა №0578 და ნიკამ გადაიხარხარა: „არა რა, მაინც კრიმინალისკენ მიდიხარ. არსად არ დევს, ბანკშია, ოღონდ იცი როგორ არის? თუ ყველა არ მივედით, ცალ-ცალკე არავის მისცემენ, ახლა ჩემს ანგელოზებს ესპანეთში სასჯელი შეუფარდეს, მაქსიმუმი ოთხი წელი აქვთ, მე კი 15 მომარჭვეს. შესაბამისად, მეც გარეთ უნდა ვიყო და ამიტომ, მშვიდად ვარ, იმ ფულს ვერავინ შეეხება“...

„და იმ ექვს მილიონად რა უნდა გეყიდათ?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„ერთ-ერთი რესტორანი ბარსელონას ცენტრში. რესტორნის მეპატრონეს ვესაუბრე, იცოდა, რომ გვინდოდა და შეთანხმებულიც ვიყავით, რომ 4 მილიონს მივცემდით, დანარჩენს კი ერთი წლის განმავლობაში“, — დაასრულა ბიზნესგეგმა ნიკამ.

„კარგი და, ეგ ქალები სად იპოვე?!“, — არ მოეშვა №0578.

„ესპანეთში. ემიგრანტთა დასაქმების სააგენტო გავხსენი და განაცხადების მიღება დავიწყე. ასე შევარჩიე შვიდი ჯანმრთელი გოგო, მერე ცალ-ცალკე დაველაპარაკე ყველას და ერთმა უარი თქვა. ბინის გაღება, იარაღის ხმარება, სად რა უნდა მოეძებნათ... ეს ყველაფერი ვასწავლე. ორს ანტიკვარიატის შემსწავლელი კურსები გავატარე და ნივთს როგორც კი მოკრავდნენ თვალს, მაშინვე ამბობდნენ, რა ღირდა. რაც შეეხება მეშვიდე წევრს, ის ძალიან უცნაურად შემოგვემატა. ერთ-ერთ ბინაში შეცვივდნენ ჩემები და ოჯახის წევრებმა ხმაური ატეხეს. საქმე გაჭირდა და ბოლოს მოსამსახურე დაეხმარა ჩემებს და წამოსაღები წამოიღეს. ის მოსამსახურე ქართველი გამოდგა, ამათი საუბარი რომ გაიგო, რაღა ამ ესპანელებს ვუწმინდო უკანალიო და წამოგვყვა რა. სამწუხაროდ, ყველაზე სასტიკი გამოდგა. თუ ვინმეს წამება იყო საჭირო, ის აკეთებდა, თვალის დაუხამხამებლად აჭრიდა ყურს და თითს ადამიანებს. ვეუბნებოდი, ასეთი სისასტიკე არ გვინდა-მეთქი და გიჟდებოდა, შენ არ იცი, რაც ამათ შეურაცხყოფა მომაყენეს და რაც ამათ გამო დამცირება გადავიტანე, ყურს კი არა, თავს მოვაჭამო...

ასე ვცხოვრობდით თბილად და ტკბილად. საკუთარი სახლი გვქონდა ნაქირავები, საჭმელ-სასმელი თავზე საყრელად იყო, ერთადერთი კაცი ვიყავი და ამას არავინ აპროტესტებდა. სიფრთხილის გამო არც არავის ვეძებდით. ფულს სახლშიც ვგზავნიდით და ბანკშიც ვინახავდით. ოჯახებმა იცოდნენ, რომ ისინი დამლაგებლებად და მომვლელებად მუშაობდნენ. ერთი ოთახი გვქონდა ღარიბულად მოწყობილი, საიდანაც „სკაიპით“ ოჯახის წევრებს ელაპარაკებოდნენ და გაუსაძლის ყოფაზე წუწუნებდნენ...“

„და... ამ შვიდიდან არც ერთი არ დაორსულდა?!“ — დაინტერესდა №0578.

„გამაგიჟებ შენ. შენ კრიმინალი გაინტერესებს თუ სიყვარულის ისტორია. რა დაორსულდა, ვის ეცალა მაგისთვის, ცალკე ისინი სვამდნენ წამლებს, ცალკე მე და გვშველოდა“, — გაეცინა ნიკას.

„კარგი, ყველაზე საინტერესო საქმე მომიყევი და მოვრჩეთ“, — დაამშვიდა №0578-მა.

„ერთხელ საკუთარ სახლს დავადგით თვალი. ოჯახის პატრონებს „მაზერატი“ და „ლამბორგინი“ ჰყავდათ და შესაბამისად, ადვილი მისახვედრი იყო, დიდი ფული ექნებოდათ. სახლში შესვლა დღისით გადავწყვიტეთ, მაშინ, როცა შინ არავინ იქნებოდა. მე ყოველთვის გარეთ ვიდექი მარშუტკის პონტში მყავდა მანქანა. შევიდნენ. გავიდა ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი და არ ჩანან. არადა, შესვლა და მაქსიმუმ ათ წუთში გარეთ იყვნენ. კიდევ დავიცადე და ერთი საათი რომ გავიდა, ბინაზე დავაკაკუნე. იარაღის გადატენვის ხმა გავიგე შიგნიდან და მეც მოვიმარჯვე იარაღი. ერთ-ერთმა ჩემმა გოგომ გამიღო. გადავირიე, აქ რას აკეთებთ-მეთქი და სახლში შევვარდი. არც მანამდე და არც მას მერე არ მინახავს ასეთი რამ — ერთი დიდი ოთახი მთლიანად კაბების საკიდად იყო ქცეული. აბა რა გითხრა... ათასი, ათი ათასი... მილიონი კაბა გინახავს ერთად? ვის სჭირდებოდა, ან რად უნდოდათ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ასე იყო. ჰოდა, ეს ჩემი ანგელოზები იდგნენ და კაბებს იზომებდნენ. გავგიჟდი კინაღამ, წამოდით-მეთქი და... იმ სახლიდან დაახლოებით ათასი კაბა წამოიღეს, მეტი არაფერი, არცერთ ოთახში არ იყვნენ ნამყოფი და დაყოვნებაც არ შეიძლებოდა, სახლის პატრონები ბრუნდებოდნენ“.

## ვერსიანიუსი

### შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული გიორგი რ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „მაკაროვი“-ს სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-მ დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1973 წელს დაბადებული თეა ვ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 11 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,5815 გრ ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

### შსს-ს სასაზღვრო პოლიციას ამერიკელი ექსპერტები ეწვივნენ

შსს-ს სასაზღვრო პოლიციას, სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით, აშშ-ის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA) წარმომადგენლები — დონ ბრაუნი, ელიზაბეტ დუფრეინი და მარკ რეძინსკი ეწვივნენ.

სტუმრებს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა ქალაქ ბათუმში, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველოში უმასპინძლა. ექსპერტებს ქალაქ ფოთში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, ს/პ I რანგის კაპიტანი თემურ კვანტალიანი შეხვდა. შეხვედრებზე სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა სტუმრებთან ერთად სამომავლო დახმარების მასშტაბები და კონკრეტული მიმართულებები განიხილეს.

ამერიკელმა ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის N1 სამმართველოს მე-2 სასაზღვრო სექტორისა (კირნათი) და N4 სასაზღვრო სექტორის (ქედა) მშენებლობისთვის სოფელ ოქტომბერში, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ წინასწარ შერჩეული მიწის ნაკვეთი დაათვალიერეს. ექსპერტები საქართველოში 2 აპრილის ჩათვლით დარჩებიან.

*„ვერსიანიუსი“*

**მწერალი, ჟურნალისტი, „ქართული ხმების“ სოლისტი და სულისჩამდგმელი, დღეს უკვე პარლამენტის წევრი თემურ ჭკუასელი „ვერსიის“ ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია. ჩვენს გაზეთში ექსკლუზიურად გამოქვეყნდა მისი ლექსებიც, რომელსაც მკითხველის დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა ამჯერად, მუდამ ხალისიანსა და გურული იუმორით განთქმულ, ბატონ თემურს უჩვეულო ამპლუაში გაიცნობთ. უფალმა მას უდიდესი განსაცდელი არგუნა — უსაყვარლესი მეუღლე, ქალბატონი ნანა გარდაეცვალა. ეს ნოველა — „გაღიმებული ცრემლი“ სწორედ მწერლის პირველი ემოციებია, რომელიც აღდგომის მარხვის ამ უმძიმეს დღეებში, ბევრი, სიკვდილთან მებრძოლი თუ სიკვდილზე გამარჯვებული ადამიანისთვის, შვებად და იმედად შეიძლება იქცეს. იმედად იმისა, რომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნოს — სიყვარული მარადიულია, ცხოვრება კი ცრემლი ყოფილა, გაღიმებული ცრემლი...**
**4 აპრილი ქალბატონი ნანას დაბადების დღეა, დღე, რომელსაც მისი საყვარელი ადამიანები „გაღიმებული ცრემლით“ ეგებებიან!**

# გაღიმებული ცრემლი

## ვუძღვნი ნანას ხსოვნას

*თემურ ჭკუასელი*
*2014 წლის 7 სექტემბერი*

კარგა ხნის გაღვიძებული ვიყავი უკვე, მაგრამ თვალებს არა და არ ვახელდი. ვითომ რეალობას ვემალებოდი... თუმცა, იგი იმდენად მძაფრი და აუტანელი იყო, რომ მისთვის თვალის გასწორება სულაც არ იყო საჭირო. ისედაც მთელ სხეულს მისუსხავდა მისი სიმხურვალე.

დილაუთენია ავსტრიაში მივფრინავდით მე და ნანა. ზეგ დილით კი, ვენის ერთ-ერთ კლინიკაში განაჩენი უნდა გამოეტანათ. განაჩენი მისი სიცოცხლისთვის, განაჩენი ჩემი სიყვარულისთვის.

ზოგადად, რა თქმა უნდა, უკვე ვიცოდით, რაც გვჭირდა, მაგრამ, აქ, ვენაში, ზუსტად უნდა ეთქვათ, რამდენად ვიყავით განწირულები. ხატოვნად რომ ვთქვათ, უიმედობასთან შესახვედრად მივემგზავრებოდით, მაგრამ იმედის ძაფიც მთლად ბოლომდე არ გვქონდა გაწყვეტილი. ერთიც ვნახოთ და... ეს ყველაფერი ძალიან გავდა იმას, ქართულ ზღაპარში რომაა: „აიღებ?! ინანებ! არ აიღებ?! მაინც ინანებ!“ მე მგონი, ჩვენც ზუსტად ეგ გვჭირდა, მე და ნანას. „წახვალთ?! ინანებთ! არ წახვალთ?! მაინც ინანებთ!“ და როგორც ზღაპრის გმირი მაინც ყოველთვის იღებს იმ სანანებელს, ჩვენც ასევე ვიქცეოდით და დილაუთენია მივემგზავრებოდით მომავალი განაჩენისკენ.

განსხვავება ის იყო, რომ ზღაპრის გმირი არასოდეს არაფერს ნანობს, ზღაპრის ბოლო ხომ კეთილია, ამიტომაცაა ზღაპარი. ჩვენ კი... ღმერთმა იცის, რა გველის. ხომ გითხარით უკვე, რეალობასთან თვალის გასწორება მიჭირს-მეთქი.

ჩვენ ხომ ზღაპრის გმირები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას კი მხოლოდ ერთი დასასრული აქვს. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს, ადრე თუ გვიან, უეჭველად მოხდება. ვიცით, მაგრამ, შეგუება გვიჭირს.

ისე, ზოგჯერ ცხოვრებაც შეიძლება ზღაპარს დაემსგავსოს, სიყვარული ახერხებს ამას, მაგრამ, ადრე თუ გვიან, სინამდვილე ისეთ პანღურს ამოგარტყამს მოულოდნელად და ისე გამოგაძევებს იმ ზღაპრიდან, როგორც ადამი და ევა გამოყარეს სამოთხიდან.

მე და ნანაც ამ დღეში ვიყავით მგონი. ზღაპრის დასასრულთან ვიდექით... ნუთუ მართლა სიყვარულისთვის ვისჯებით?! ნუთუ სიყვარული მართლა მარადიული ცოდვაა?!

იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ მსგავსი უაზრო კითხვები ხშირად მაკითხავდა ამ ბოლო დროს, მაგრამ, თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ორ თვეზე მეტი იყო, იმ გულისამრევი პანღურის გემოსგან მიშრებოდა უკვე პირი და ორ თვეზე მეტი იყო, ისევ და ისევ ზღაპრის გმირივით, მზად ვიყავი, სული ეშმაკისთვის მიმეყიდა, ოღონდ ნანას შველოდა რამე, მაგრამ, არც ჩემი ცოდვილი სული სჭირდებოდა ვინმეს და არც ჩემი გადაღღილი სხეული, მხოლოდ ნანას სიცოცხლეზე იყო დაწყებული გამძაფრებული ნადირობა.

საკმაოდ გამოფხიზლებული ვიყავი უკვე. თვალებს კი ჯიუტად არ ვახელდი. თუმცა თვალებდახუჭულიც ვგრძნობდი, რომ ნანას საძინებლის კარი ტრადიციულად გამოღებული დაეტოვებინა. არაერთხელ მითქვამს, რომ არ მიყვარდა კარებღია ოთახში ძილი, მაგრამ მაინც ავიწყდებოდა ხანდახან. ადრე ვუბრაზდებოდი, მაგრამ ახლა მხოლოდ გამეღიმა. კარგა ხანი იყო უკვე, ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი და მხოლოდ ვეფერებოდი.

კარის ღრიჭოდან კი შორეულმა ხმაურმა შემოაღწია. ნანა სამზარეულოს ანესრიგებდა. მერე ხმაური შეწყდა. ახლა ნანა შემოვა, — გავიფიქრე მე და სხეული მოლოდინით დამეძაბა.

შემოვა, ფეხაკრეფით მოვა საწოლთან, დაიხრება, სახეს ახლოს, სულ ახლოს მოიტანს, იმდენად ახლოს, რომ სახეზე მისი სუნთქვა დამეფინება და სიბნელეში თვალებზე დამხედავს, ღია მაქვს უკვე თუ არა.

სულ ასე აკეთებს ხოლმე დილაობით და თვალებღიას თუ წამასწრო, ბავშვივით ხალისობს. გამეღიმა. მერე, როგორც იქნა თვალები გავახილე, მზერა დავძაბე და ქუჩიდან შემოსულ შუქზე საათის ისრების დანახვას შევეცადე. მგონი ხუთის ნახევარი ხდებოდა. ხუთზე კი სახლიდან უნდა გავსულიყავით. ადგომა დავაპირე, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, ბარემ ნანას შემოსვლას დაველოდები-მეთქი.

სამზარეულოდან კი ხმაურის ნაცვლად, რაღაც მოულოდნელმა სურნელებამ შემოაღწია. გონება დავძაბე თუ არა, იმ სურნელებას შორეულ ბავშვობაში მივაგენი. ბებია ხარშავდა ხოლმე ალუჩის ბუშის ტყემალს გურიაში და ზუსტად იმ ტყემლის სუნმა გაავსო დილაუთენია ოთახი.

გურიის ერთ-ერთ სოფელში მაჩუქეს ამას წინათ ერთი ბოთლი. დავყნოსე და მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ბავშვობის ტყემალი მეჭირა ხელში. ვთქვი კიდეც, ალუჩის ბუშის ტყემალია-მეთქი. მასპინძლებს იმდენად გაუკვირდათ ჩემი განსწავლულობა და ისე გახალისდნენ, რომ ვიღაც გააგზავნეს და რამდენიმე ბოთლი კიდევ მომიტანეს. არ იცოდნენ, რომ, იქვე ახლოს, მეზობელი სოფლიდან მიქნევდა ხელს საკუთარი ბავშვობა.

ბებია რომ ალუჩის ბუშისგან ტყემალს მოხარშავდა, სიმინდის ნაგულათი ხურავდა მერე ბოთლებს და ჩვენი „ქუხნა სახლის“ ყველაზე ბნელ და გრილ კუთხეში მარხავდა მიწაში. ის თავსახურები სიბნელეში თეთრად ანათებდნენ და ხშირ-ხშირად ვითვლიდი ხოლმე. მაინტერესებდა, რამდენი ბოთლი სიამოვნება მქონდა მიწიდან ამოსაღები. მგონი თვლაც იმ ბოთლების თავსახურებზე ვისწავლე.

შევიპარებოდი ხოლმე ჩვენს „ქუხნა სახლში“, ამოვთხრიდი ერთ ბოთლს და მერე ბოთლიანად ჩავიპარებოდი ხოლმე ბებიაჩემის მუზეუმივით მოვლილ ბოსტანში. ფორჩხის კიტრი მეგულებოდა იქ, ტყემალთან ერთად ნამდვილი ნეტარება.

კიდევ ერთხელ გამეღიმა. ბავშვები ყველგან ტკბილეულს მტრობენ ხოლმე, მე კი ტყემალზე ვიყავი ჩასაფრებული. ბებიაჩემს რამეს გამოაპარებდი?! მაგრამ თვალს ხუჭავდა და ვითომ ვერ ამჩნევდა ჩემს კულინარულ სიცუღლუტეს. ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ ნანამ ვერ მოუსწრო ბებიას, მაგარი მეგობრები იქნებოდნენ...

ნანა როგორც კი ვახსენე, შემოვიდა კიდეც. სიბნელეში ვარჩევ. ჯერ კართან შეჩერდა და იქიდან დამაკვირდა. მერე, როგორც ვვარაუდობდი, ფეხაკრეფით წამოვიდა საწოლისკენ, ჩემსკენ დაიხარა, სულმთლად თვალებთან მოიტანა სახე და დამაკვირდა. ხელები შემოვხვიე და ჩავიხუტე. მოულოდნელობისგან ჯერ წამოიკივლა, მერე გაეცინა და მშვიდად შემაქო: — სულელი!

— სინათლე ავანთო?! — მკითხა მაშინვე. — ვაგვიანებთ, უნდა ადგე, — დაამატა და მერე რამდენჯერმე მაკოცა.

მე ისე ვიყავი სათქმელით პირთამდე გადავსებული, რომ ცოტაც და, ბაგეებს მოწოლილი სიტყვები დამახრჩობდა ალბათ. მინდოდა მეთქვა, როგორ მიყვარდა და როგორ მიჭირდა უკვე ყველაფრის გაძლება. როგორი უაზრო გახდებოდა ცხოვრება მის გარეშე, თუმცა, თავადაც კარგად იცის, რომ ათასი რამ გადამხდენია, მაგრამ იღბალს ბოლომდე არასოდეს გაუწირივარ, არც ახლა გამწირავს და ამიტომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ოღონდ ცოტა უნდა მოვითმინოთ ორივემ და ერთად გადავიტანოთ გადასატანი. რომ ახალ ბინაშიც მალე გადავალთ და სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვიქნებით, მხოლოდ მე და ის, მხოლოდ მე და ის... რომ კიდევ რამდენიმე წელიც მალე გაივლის და ქორწინებიდან 50 წლისთავსაც აღვნიშნავთ ახლობლებთან ერთად... რომ, მართალია, ის ცალკე სხეულია და მე ცალკე, მაგრამ არსებობით მხოლოდ ერთად ვარსებობთ, რადგან, დიდი ხანია ერთმანეთის ნაწილი გავხდით უკვე და ერთმანეთის გარეშე ვერცერთი ვეღარ ვიარსებებთ... რომ... რომ... რომ... რომ...

კიდევ ბევრი რამ მსურდა მეთქვა, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვთქვი და მართლა რომ არ დავეხრჩვე ამდენ დასაკარგად განწირულ სათქმელს, გაბზარული ხმით ერთადერთი სიტყვის გახმიანება მოვახერხე — აანთე!

როცა მომცილდა და სინათლე აანთო, სანამ ოთახიდან გავიდოდა, კართან შეჩერდა, გამომხედა და მკითხა:

— ჩაი თუ ყავა?!

— ყავა! ტყემლისთვის კი მადლობა.

— როგორ მიხვდი... გულთმისანი ხარ?! სიურპრიზად მინდოდა, ვენაში მინდოდა სასტუმროში მომეცა...

აღარაფერი მითქვამს. საწოლზე წამოვჯექი და მზერით გავაცილე. გაუბედავი ფიქრივით ფერმკრთალი იყო და სულთმლად სიფრიფანა.

მერე, როცა სახლიდან გასასვლელად უკვე მზად ვიყავით, მოულოდნელად, ნანამ უხერხული ღიმილით შემაჩერა და ერთი წუთით საძინებელში შევიდეთო, მთხოვა... კი ბატონო-მეთქი, — ვუთხარი, ჩანთები იქვე სადარბაზოს კართან დავყარე და ოთახში შევყევი. მომიტრიალდა და მეუბნება: — მოკლედ, რაღაც უნდა გითხრა... ძალიან გთხოვ, ყურადღებით მომისმინო და როგორც იცი ხოლმე, ხუმრობა არ დაიწყო, ისედაც ვნერვიულობ... ისედაც მიჭირს და ბოლომდე მომისმინე, ნუ გამაწყვეტინებ, კარგი?!

— ხო, ნანა, გისმენ საყვარელო...!

— ბევრი არც არაფერი მაქვს სათქმელი, მაგრამ... მაინც. ჩემს უჯრაში წერილი დევს კონვერტში... ჩემი უჯრა ხომ იცი, ზემოდან მეორე. შენი შარფებისა და ცხვირსახოცების ქვემოთ. იქ დაწვრილებით წერია, რა უნდა გააკეთო... მერე... ანუ ჩემს შემდეგ... მაცალე... ამიტომ ამაზე აღარ გავაგრძელებ... ახლა იმას გეტყვი, რაც იქ არ წერია, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრა. მესმის, რომ ეგოისტი ვარ, მაგრამ, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია...

მოკლედ, თუ რამე მოხდა, ცუდი რამე, მარტო რომ დაგიხელთებენ, ვიცი მე, მშიერი ტურებივით დაგეხვევიან მეძებარი ქალები... ჰოდა, ძალიან გთხოვ, გემუდარები, ეს უკანასკნელი თხოვნა შემისრულე და არავინ მოიყვანო... ვიცი, რომ ეგოისტი ვარ, გითხარი უკვე, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, ამაზე ფიქრსაც კი ვერ ვეგუები. იცოდე, არავინ მოიყვანო, თორემ მე ხელმეორედ მოვკვდები... იქ!

გაჩუმდა და გვერდზე გაიხედა. მერე თვალები ცრემლით აევსო, ძალა მოიკრიბა, ისევ შემომხედა, რაღაც სულმთლად უსუსურად გაიღიმა და მკითხა: — მპირდები?!

მას ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა საუბარი, მე რომ გავიფიქრე, წეღან საწოლში რისი თქმაც მინდოდა, ის ყველაფერი რომ მეთქვა, ნანა ამას აღარ მეტყოდა-მეთქი... მაგრამ, რაღა დროსი იყო. ახლა სასწრაფოდ უნდა მეთქვა რამე. დიდხანს ჩუმად ყოფნაც არ შეიძლებოდა. დაგვიანებას რომ თავი დავანებოთ, ნანას არ უნდა ეფიქრა, რომ სათქმელს ვეძებდი.

— ახლა მე მომისმინე-მეთქი, დავიწყე — რაც შენ ახლა პესიმისტური სისულელეები დაახვავე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გპატიობ, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძენი, მართლა რაოდენ ძვირფასი ყოფილხარ ჩემთვის. გესმის, რას გეუბნები?! ამიტომ გპატიობ. მორჩა, სიტყვა აღარ დაძრა ამაზე, რის და ვის მოყვანაზე მელაპარაკები, ხომ გითხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ჯერ არ მითქვამს, ახლა გეუბნები... აგერ ნახავ, დავბრუნდებით და იმ წერილსაც ერთად დავხვევთ, არც კი წავიკითხავ, ისე... ჰოდა, წესიერად გაიღიმე ახლა, მოდი და მაკოცე...

ვიგრძენი, როგორ მოეშვა გულზე და როგორ დამშვიდდა. მერე მართლა უკეთესად გაიღიმა და მომიახლოვდა. კოცნით აღარ უკოცნია, მაგრამ თავი მკერდზე ისე დამადო და ისე ჩამეხუტა, რომ ათი ათას კოცნას სჯობდა. მე კი, უეცრად, მძაფრად ვიგრძენი, როგორ დააბიჯებდა სახლში სიკვდილის აჩრდილი და დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ჩვენ ამას შევგუებოდით.

უუუხ! მე ამისი... რაღაც მჭირს, ეტყობა, ამ ბოლო დროს, ყველაფერზე ცრემლი მეძალება... როგორ თქვა?! მშიერი ტურებივითო, არა?!. ამ მშიერმა ტურებმა და მეძებარმა ქალებმა ცოტა არ იყოს გამაოცა. ხატოვან გამოთქმებს იშვიათად ხმარობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენი ხანი წუხდა და ფიქრობდა ამაზე, რომ ამასობაში ტურებსაც მოშივდათ.

ყველაფერი დამთავრებული რომ მეგონა, ცოტა მეც რომ დავწყნარდი და მანქანაც რომ დავძარი, ყველაზე უცნაური რამ ზუსტად მაშინ მითხრა ნანამ.

— ერთი წუთი მანეჟთან მიმიყვანე, კარგი?! სულ ერთი წუთი მჭირდება, მეტი არა, გეხვეწები, არ გამიბრაზდე...

თავიდან ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი... ამიტომ ზერელედ ვუპასუხე, — რომ დავბრუნდებით, მაშინ მიგიყვან-მეთქი მანეჟთან...

— ვაიმე, გეხვეწები, არ შემიძლია... მანეჟის გარეშე ვერ წამოვალ... სულ ერთი წუთი მჭირდება... სერიოზულად შეშფოთდა.

მივხვდი, მანეჟთან რომ არ მიმეყვანა, მართლა ცუდად გახდებოდა, მაგრამ, ერთი გაბრძოლება მაინც მოვახერხე, შენ ხომ არ გარეკე ამ დილაადრიან-მეთქი, რა დროს მანეჟია, ისედაც ვაგვიანებთ-მეთქი, ანდა საერთოდ რა ხდება ამ მანეჟთან, ცხოვრებაში არ გაკარებიხარ, რომელი მძლეოსანი შენ მყავდი-მეთქი, არსადაც არ გადავუხვევ, ისე მითხარი, რა გინდა მანეჟთან-მეთქი... ნანა კი მაინც არ იშლის — ვაიმე, გეხვეწები, სულ ერთი წუთი მჭირდება, ისე მართლა ვერ წამოვალ... მანეჟის გარეშე... რაღაცას დავდებ და მორჩა...

მაგრად დამაბნია. არადა, ის დასაწავავი მძლეოსნობის მანეჟი იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზე იყო. ჰა და ჰა, სულ რაღაც 50 მეტრით თუ მიმრუდებდა გზას. თანაც იმდენად დამაინტერესა, ნეტა რა უნდა იქ-მეთქი, რომ, ხმამაღლა კი ვილანძღებოდი, მაგრამ, გადახვევით მაინც გადავუხვიე.

მანეჟის ყრუ კედელზე რამდენიმე გადახურვის პანელი იყო მიწყობილი. ზუსტად იმ პანელების მოპირდაპირედ, ნაგვის კონტეინერთან გამაჩერებინა მანქანა. სულ ერთი წუთიო, კიდევ ერთხელ მითხრა, ხელჩანთიდან რაღაც პარკი ამოიღო, მანქანიდან გადავიდა და კარი ტრადიციულად ღია დამიტოვა. კიდევ უფრო გამიძლიერდა ცნობისმოყვარეობა, ნეტა რას აპირებს-მეთქი.

— ცუგა! ცუგა! ცუგა! ცუგა! მესმის უეცრად და მაშინვე ყველაფერს მივხვდი. ღმერთო ჩემო, უპატრონო ძაღლს მოაკითხა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე ისიც დავინახე, ის უპატრონო ძაღლი პანელებიდან გამოძვრა, კუდი ააქიცინა და იმდენად დანდობილად გამოიქცა ნანასკენ, რომ ეჭვი არ იყო, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. გამოქცევით კი გამოიქცა, მაგრამ სირბილი აშკარად უჭირდა, ინვალიდი იყო. წინა მარჯვენა ფეხს ვერ ადგამდა. ისე ჰქონდა ზემოთ აწეული, თითქოს ვინმესთვის თათის ჩამორთმევას აპირებსო. არადა, ზუსტად თათი ქონდა დაზიანებული, მხოლოდ კანითა და მყესებით ეკიდა ფეხზე და მოძრაობის დროს თავისუფლად ქანაობდა.

მოირბინა ნანასთან. მოუსვენრად ცქმუტავდა და სიხარულისაგან მთელი ტანით ცახცახებდა. ტიპიური ეზოს ძაღლი

იყო, საშუალო ტანის, შავი, ყავისფერი დრუნჩით და ჭკვიანი თვალებით. ნანამ იქვე, სანაგვე კონტეინერის გვერდით დაუყარა ყველაფერი, პარკი სანაგვეში ჩააგდო, რამდენჯერმე თავზე ხელი გადაუსვა და მანქანაში დაბრუნდა. წავედითო, დამნაშავის ხმით მითხრა და თვალები დახუჭა.

ახლაღა მივხვდი, რატომ გახშირდა ამ ბოლო დროს სახლში ქათმისგან დამზადებული კერძები, მოხარშული დედალი ან შემწვარი ვარია, ჩახოხბილი ან სულაც ჩიხირთმა... და იმასაც მივხვდი, რატომ წავაწყდებოდი ხოლმე მაცივარში საგულდაგულოდ შეფუთულ ძვლებს... მუდამ კითხვას რომ ვაპირებდი, რა ხდება-მეთქი და მუდამ რომ მავიწყდებოდა. ახლა გახდა ყველაფერი ნათელი...

ეხ, ნანა! ნანა! დიდი უცნაური ვინმე ხარ-მეთქი, გავიფიქრე და ცოტა ხნის მერე დავამატე — მაგრამ ძალიან, ძალიან საყვარელი...

...ხუთ საათზე გამეღვიძა. გარეთ, ბუნებრივია, ჯერ ისევ ბნელოდა, მაგრამ ოთახში სინათლე ენთო. უძილო ღამეებისაგან გადაღლილს პირდაპირ ჩაცმულს ჩამძინებია წუხელ. წამოვდექი, ცოტა ხანს ცარიელ სახლში ვიბოდიალე უაზროდ, მერე სამზარეულოში გავედი. აქაც სინათლე ენთო. პირი მიშრებოდა. მაცივარი გამოვაღე და კარგა ხანს უაზროდ ვიცქირებოდი შიგნით. დამავიწყდა, რას ვაპირებდი. მაცივრის თაროები უწესრიგოდ შეყრილი საჭმლის ნარჩენებით იყო გამოტენილი. აუუ, რა გადაყრის-მეთქი ამდენ საჭმელს, ესეც გავიფიქრე და მაშინვე რაღაც გამახსენდა. უკვე სანახევროდ მიხურული კარი ისევ გამოვაღე და საჭმელების გამოლაგება დავიწყე... თან ჩემთვის ვამბოდი, ეს არ გვინდა, ესეც... ეს გამოგვადგება, ესეც კარგია, მოეწონება... მერე, რაც გადავარჩიე, ყველაფერი პარკში ჩავყარე, ინსტიქტურად თავს სარკეშიც შევავლე თვალი და სადარბაზოში გავედი.

ქუჩა ის-ის იყო იზმორებოდა. ჯერ ფეხით დავაპირე მისვლა, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე და მანქანა დავქოქე. სულელური ფიქრი ამეკვიატა, მე არ მიცნობს, მაგრამ, იქნებ მანქანა იცნოს-მეთქი, თუ კი ისევ იქ დამხვდა, ანდა, თუ კი საერთოდ ცოცხალია-მეთქი.

მანეჟთან რომ მივედი, მანქანა ზუსტად იქ გავაჩერე, პანელების მოპირდაპირედ და სანაგვე კონტეინერთან ახლოს. ძრავა რომ გამოვრთე და მანქანიდან გადმოვედი, მაშინვე პანელებს გავხედე უიმედოდ. ქუჩის უღიმღამო განათების ფონზე ზედმეტად პირქუშად გამოიყურებოდა იქაურობა. მომეჩვენა, რომ რამდენიმე პანელი კიდევ მიემატებინათ.

ცუგა! ცუგა! — რამდენჯერმე გაუბედავად დავიძახე და ზედ სტვენაც მივაყოლე, მაგრამ უშედეგოდ. კიდევ დავუძახე... მერე კიდევ და ხელი რომ ჩავიქნიე და მანქანაში ჩავჯექი, ერთხელ კიდევ მაინც გავხედე პანელებს. ღმერთო ჩემო... იქ იდგა, პანელებთან. გაუნძრევლად იდგა და ოდნავ თავაწეული ჩემსკენ იყურებოდა. ისევ გადმოვედი მანქანიდან, თან პარკი გადმოვიტანე და ნაგვის კონტეინერისკენ გადავინაცვლე. თან, რაც შეიძლება თბილი ხმით ვუხმობ: ცუგა! ცუგა! მოდი, ცუგა! ნუ გეშინია... მოდი, ნანამ საჭმელი გამოგიგზავნა, ნანა ხომ გახსოვს... მოდი, სადაც ის გიყრიდა, მეც იქ დაგიყრი და ჭამე, მოშიებული იქნები. მადლობა ღმერთს, ცოცხალი ყოფილხარ... მოდი, მოდი...

ძაღლმა ჯერ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, მერე შეჩერდა და დაეჭვებულმა გამომხედა. მაგარი გამხდარი იყო, დასუსტებული და შელახული. წინა მარჯვენა ფეხი ძველებურად ჰქონდა ზემოთ აწეული და მყესებზე ჩამოკიდებული თათი მოძრაობის დროს ისევ თავისუფლად ქანაობდა. კარგა ხანს იწვალა ასე, გადმოდგამდა რამდენიმე ნაბიჯს და გაჩერდებოდა, კიდევ გადმოდგამდა და ისევ გაჩერდებოდა. ბოლოს შიმშილმა მაინც თავისი გაიტანა და როგორც კი ერთმანეთში აზელილი საჭმლის ნარჩენები ძირს დავუყარე და თავად განზე გავდექი, კოჭლობით მივიდა, ყველაფერი დასუნა, მადლიერი სახით შემომხედა, წამით კუდიც გააქიცინა, საჭმლის წინ ჩაწვა და ჭამა დაიწყო. ეტყობოდა, მაგრად იყო მოშიებული. მიუხედავად ამისა, ჭამის დროს შიგადაშიგ მაინც გადმომხედავდა ხოლმე.

მე მოშორებით ვიდექი და სიამოვნებით ვუყურებდი. წესით, უნდა წამოვსულიყავი, გასაკეთებელი ხომ გავაკეთე და რაღა მინდოდა იქ ამ დილაუთენია, მაგრამ, თითქოს რაღაც ძალა მაკავებდა და ვერ ვცილდებოდი იქაურობას. მერე გამოვბრუნდი, მანქანის კარი გამოვაღე, იმ სკამზე ჩამოვჯექი, სადაც ნანა იჯდა ხოლმე და ახლა აქედან ვაკვირდებოდი ცუგას ტრაპეზს. მერე კი ჩემთვის მოულოდნელად ლაპარაკი დავიწყე:

„ჭამე, ცუგა! ჭამე! ეს ყველაფერი ნანამ გამოგიგზავნა. გუშინ ორმოცი იყო... ორმოცი დღე გავიდა გუშინ... შენ ვიცი, არ დამიჯერებ, მაგრამ, მე მაინც გეტყვი, გარდაცვალების წინ, ორი დღით ადრე, შენც გახსენა, შენზეც ფიქრობდა... არა, არა... ვცდები, ორი კი არა, სამი დღით ადრე გახსენა... ხო, სამი დღით... ასე თქვა, ნეტა ცუგა როგორ არისო... ცოდოა, ორი თვე ხდება, არაფერი მიმიტანიაო... გაიგე ცუგა, ასე თქვა, ძალიან მეცოდებაო, უპატრონოაო... შენ ჭამე! ჭამე! მე ნუ მიყურებ, ჭამე და ისე მისმინე... ლაპარაკი მინდა... რაღაც-რაღაცებს მოგიყვები...

საერთოდ თუა ნეტა ცოცხალიო... შენზეც ნერვიულობდა... გითხარი უკვე... ცოცხალი ყოფილხარ და გამიხარდა. ნანასაც გაუხარდებოდა... ცოტა კი შეფერთხილხარ, ცოტა კი არა, მაგრად, გასაგებია... ნანას ხელი მოგაკლდა... მაგრამ არა უშავს, აწი მე მოგხედავ... ჩათვალე, რომ ისევ ნანა... ნანას ხელი მეც მომაკლდა, მაგრამ, ხომ ხედავ, ვუძლებ... ჯერჯერობით ვუძლებ... შენც უნდა გაუძლო, ერთად უნდა გავუძლოთ... ხომ გითხარი, ჭამე-მეთქი, მე რატომ მიყურებ...

ხედავ შენ, ორი თვე გასულა... ეს მან თქვა... ორმოცი დღეც დავამატოთ და... ორი თვე და კიდევ ორმოცი დღე გასულა... გუშინ იყო... ორი თვის და ორმოცი დღის წინ ვიყავით შენთან, ხომ გახსოვს, თვითონ ისეთ დღეში იყო და შენ საჭმელი მოგიტანა... ასეთი იყო, უცნაურად კეთილი... აეროპორტში გვეჩქარებოდა მაშინ... მოკლედ, ორმოცი გუშინ იყო... შენ ამას ვერ გაიგებ, ამ ორმოცს... წესი გვაქვს ასეთი ჩვენ, ადამიანებს... ჯერ ორმოცი, მერე წლისთავი და მერე თურმე ვალმოხდილი ხარ... აბა?!

თქვენ უფრო ერთგულები ხართ, ცუგა. იცი, რამდენი რამე დაწერილა და რამდენი ფილმი გადაღებულა თქვენს ერთგულებაზე?! არ იცი, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთგულება შენც გეცოდინება. მეც ვიცი, ცუგა... ასე რომ, ადვილად მიხვდები, მე რა დღეში ვარ. შენი ნამდვილი სახელი არც მან იცოდა... არც შენ იცოდი მისი სახელი... მე გეტყვი... ნანა ერქვა... არა! ნანა კი არა, ჩემი ნანა... ასე მირჩევნია. აღარ არის ჩემი ნანა, გაიგე, ცუგა?! აღარ არის... ცუგას გეძახდა შენ და მეც ასე დაგიძახებ... ჭამე შენ! ჭამე, ჭამე... მე ნუ მიყურებ. მე ცოტას კიდევ ვილაპარაკებ, წავალ მერე... რა ვქნა, ლაპარაკი მინდა, ცუგა, მაგრამ... ვის ველაპარაკო?! ვერავის ვეუბნები, რა მჭირს, ცუგა, მერიდება სხვებთან... შენთან არა, შენი არ მერიდება... შენ გეტყვი ყველაფერს და ეგებ ცოტა მომეშვას... ოღონდ შენ ჭამე, ეს საჭმელი მან გამოგიგზავნა, ხომ გითხარი, გუშინ ორმოცი იყო-მეთქი, სავსეა მაცივარი... ყველაფერს შენ მოგიტან... მერეც მოგიტან... ნანამ დამიბარა... არა, კი არ დამიბარა, სიკვდილის წინ ორი, არა, სამი დღით ადრე გახსენა... გესმის, ცუგა,

შენზეც კი ფიქრობდა სიკვდილის წინ, იმ საცოდავს საჭმელს ვინღა მიუტანსო... მისთვის არ მითქვამს, მაგრამ ჩემთვის გავიფიქრე, მე მივუტან-მეთქი, მაგრამ, ხომ ხედავ, ვერ მოვედი. ბოდიშს გიხდი... არ შემეძლო, არაფერი არ შემეძლო. დღეს შევძელი, ხუთ საათზე ავდექი, როგორც მაშინ, აეროპორტში რომ მივდიოდი და ნანამ შენსკენ გადმომახვევინა. პირველად რომ გნახე... გავიღვიძე და შენთან წამოვედი. იცი, ბოლო ათი წელი რას ნატრულობდა, ცუგა?! როგორმე ერთი პატარა ბინა ვიყიდოთ, სადაც მხოლოდ მე და შენ ვიცხოვრებდითო... მხოლოდ მე და შენო... განმარტოებითო... შვილებიც ძალიან უყვარდა, შვილიშვილები ხომ საერთოდ... მაგრამ, მხოლოდ მე და შენო, ამაზე ოცნებობდა. კარგა ხანს ვერ ვახერხებდი, ცუგა, უამრავი პრობლემა მოჰქონდა ცხოვრებას... ბოლოს მაინც მოვახერხე, როგორც იქნა... დღე და ღამე იმ ახალ ბინაზე მელაპარაკებოდა, ყველაფერი დახატა და დახაზა, მაგრამ... ეს წუთისოფელი როგორც ჩანს ბრმაა ცუგა, ყრუც და თან დაუნდობელი... არც შენი ნატვრა ესმის, ცუგა და ვერც შენს სიხარულს ხედავს. როცა ყველაფერი დავამთავრე, ზუსტად მაშინ მიმატოვა ნანამ... ზუსტად მაშინ, გესმის, ცუგა... ერთი დღე რა არის, ერთი დღეც ვერ მოვასწარით ერთად ყოფნა... ერთი დღეც... მხოლოდ სამი ღამე გაათენა ცუგა იმ სახლში, ოღონდ თავის საძინებელში კი არა, სამუდამო განსასვენებელში იწვა ცუგა და მე ღამეს ვუთევდი სასთუმალთან...

შენ გეტყვი, ღამღამობით, მარტო რომ ვრჩებოდით, ვეფერებოდი კიდეც... ვეფერებოდი და თან ვზლუქუნებდი, ჩემთვის... ჭამე შენ!

ხომ გესმის, ახლაც ვზლუქუნებ. ამ ბოლო დროს დამჩემდა... გამახსენდება რაღაც, ვზლუქუნებ... შევეხები მის რომელიღაც ნივთს, ვშეშდები უეცრად და ვზლუქუნებ...

იცი როგორი ვერაგი ყოფილა ის დაავადება ცუგა? ნამდვილი უბედურებაა, ნამდვილი სასჯელი, მიწისძვრასავით სერიოზული... ნამდვილად სასჯელია, მაგრამ შენ იმას ვეღარ არკვევ, რისთვის გსჯიან... ჭაობია, ცუგა, ჭაობი... როგორც ჭაობი, ისე გითრევს თანდათან, აუჩქარებლად, მეთოდურად და დაჟინებით. ხსნა კი არსაიდან... ირგვლივ ყველაფერი ძველებურადაა, ყველაფერი ძველებურად... შენ კი ჭაობი გითრევს... ხანდახან პატარ-პატარა იმედის კუნძულებსაც გადაეყრები... თითქოს რაღაც სიმყარეზე იკიდებ ფეხს, ისიც ჭაობია, ცუგა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმედი გიჩნდება, რომ, ადრე თუ გვიან, ნაპირზე გააღწევ... იცი ეს როგორაა ცუგა, თითქოს ჩანაცრებულ უიმედობას ქექავ, ქექავ და სადღაც თავგადანახულ იმედის ნაპერწკალს გადაეყრები, წამიერად შვების ნიავი ჩამოგიქროლებს, ერთი-ორი დღე შედარებით მშვიდად ხარ და ღამის ღიმილიც გიბრუნდება, მაგრამ მერე... მერე ერთხელ და ორჯერ უკვე შეგუებულის თავიდან შეგუება გიწევს, ცუგა... აუუუ, როგორი ძნელია, რომ იცოდე...

გამშვიდებენ ცუგა, ბავშვობაში ესა და ეს ხომ აქვს მოხდილი?! ხოდა, შესაძლოა ეს სულაც მისი გამოძახილი იყოს... გეტყვის ვინმე და ესეც შენი იმედის პატარა ნაპერწკალი... ყველაფერს ადვილად იჯერებ ცუგა, ადამიანები ასე ვართ მოწყობილები, შვების მომცემი ვარაუდის დაჯერება უფრო გვეადვილება, ვიდრე გარდაუვალი დასასრულის... ჭამე შენ!

ეს სურათი ყველა მონაცემით ნაწლავის ტუბერკულიოზში თავსდება და რატომ არ გვინდა ამაზე ვიფიქროთ?! ამას უკვე მეორე ამბობს...

ორსულობის შემდეგ სეფსისი ხომ გქონდათ?! ჰოდა, ეს სურათი შესაძლოა სულაც მისი გამოძახილი იყოს, ამბობს მესამე...

მე კი მეტი გამოსავალი სად მქონდა ცუგა, დავხტოდი წინ და უკან ამ შვების ვერსიებზე, მაგრამ ფეხს ვერსად ვიკიდებდი. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ჭაობი ულმობელია ცუგა, ხომ გითხარი უკვე, ულმობელი და ვერაგი. როგორც ამღვრეული სითხე იწმინდება ნელ-ნელა, ისე დაილექა ცუგა თანდათან შვების ყველა ვერსია იმ ჭაობის ფსკერზე და ზედაპირზე ერთადერთი ვერსია ამოტივტივდა, ბოლოს ერთადერთი და განუმეორებელი — კიბო!!! სიტყვა განაჩენი...

ადამიანებმა გარდაუვალი სასჯელის დროს იციან ხოლმე კითხვა, ცუგა, რამდენი მიუსაჯეს?! სამი?! ხუთი?! ათი წელი?! თუ თხუთმეტი?! ან იქნებ სამუდამო?! აქ კი სასჯელი წლები კი არა, სიტყვაა ცუგა, ერთადერთი სიტყვა, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, სიტყვა განაჩენი... ჩვენც ეს სიტყვა მოგვისაჯეს ცუგა, სიტყვა, რომლის ხსენებასაც კი ყველა ერიდება, სიტყვა, რომელიც გაიძულებს, რეალობას ბოლოსდაბოლოს თვალი გაუსწორო და გაფითრებულმა შეაბიჯო განწირულთა ჭაობში.

ვიცი, ცუგა, რომ იგი მხოლოდდამხოლოდ დაავადებაა, როგორც ათასობით სხვა, მართალია, ძალიან ვერაგი, მაგრამ მაინც დაავადება... მე კი, იცი, რა მჭირდა ცუგა, როგორც ცოცხალ არსებას ისე აღვიქვამდი, როგორც მეტოქეს, რომელიც, ღმერთმა იცის, საიდან მოვიდა, მოვიდა და სიყვარულის წართმევა დამიპირა...

მითხარი ცუგა, შემეძლო მე ამის შეგუება?! არა! არ შემეძლო და ამიტომ ვემუქრებოდი, დედას გიტირებ-მეთქი... ერთხელ დამესიზმრა კიდეც... რაღაც უსახო და ამორფული... მე რომ სიზმარში მისკენ მუქარით მივიწევდი და რაღაც ძალა მაკავებდა, ის იდგა და დამცინავი ღიმილით მიყურებდა...

ბევრი ვეომე, ცუგა, აუუ, რომ იცოდე, რამდენი ვეომე, მაგრამ... ბოლოს დავიღალე ცუგა, მაჯობა, მაინც მაჯობა... თანდათან ჩამითრია უსუსურობის ჭაობში... თანდათან ჩამომაყრევინა ხელები, მაგრამ გარდაუვალ მარცხს მაინც ვერაფრით ვეგუებოდი, ცუგა... მარცხსაც ხომ გააჩნია, ამქვეყნად ყველაზე საყვარელ ადამიანს მართმევდნენ... ჭამე, ჭამე შენ...

ირგვლივ კი სიცოცხლე გრძელდებოდა, ცუგა... გითხარი უკვე... ვიღაც იცინოდა, ვიღაც ხალისობდა, ვიღაცას პაემანზე მიეჩქარებოდა ყვავილებით ხელში... მეც პაემანზე მივდიოდი ცუგა, ოღონდ სიკვდილთან და ისიც კარგად ვიცოდი, რომ უეჭველად მოვიდოდა... ერთადერთ რამეს ვცდილობდი მხოლოდ, როგორმე ცოტათი მაინც გადამეწია მასთან შეხვედრა...

რადგან მეტი აღარაფერი შემეძლო... მოვიდა მერე... გამთენიისას მოგვაკითხა...

ძნელი ყოფილა, ცუგა, სიკვდილთან პაემანი... მიჭირდა ცუგა, ძალიან მიჭირდა... ვეღარ ვუძლებდი ამ გაუსაძლის მოლოდინს... იცი, ყველაზე უფრო რა მიჭირდა?! გაღიმება! გაღიმება მიჭირდა, ცუგა... როგორია, შენ ასეთ დღეში ხარ და გინდა-არგინდა უნდა გაიღიმო... ნანასთვის უნდა გაიღიმო... შენ სიყვარულსა და შენს სიცოცხლეს უნდა გაუღიმო, მაშინ, როცა იცი, რომ ორივეს გართმევენ... როგორია, უპეები ცრემლით გაქვს სავსე, სახეს კი ღიმილი გიმკობს... გაუძლებ ამას, ცუგა?! გაუძლებს ვინმე ასეთ გაუსაძლის ღიმილს ცუგა?!

მე ვუძლებდი. ახლაც არ მესმის როგორ, მაგრამ ვუძლებდი. ნანას გულისთვის ვუძლებდი, რამე რომ არ ეგრძნო... ვითომ... ტყუილია ცუგა ეს ცხოვრება, ტყუილია და სიყალბეა... მუდმივად სიცრუეს გაიძულებს... სიცრუე ყოფილა ცუგა სიყვარულის ხარკი... ცრუ ღიმილი ყოფილა... ცრემლიანი ღიმილი...

ლეონარდო ახერხებდა უცნაური ღიმილების დახატვას... ლეონარდო მაგარი იყო... მაგრამ არა მგონია, ამგვარი ღიმილის დახატვა მოეხერხებინა... განა შეიძლება, გაღიმებული ცრემლის დახატვა?! ალბათ არა...

მიდი შენ... ნუ გაჩერდები... ჭამე, ჭამე... მე რატომ მიყურებ... ყურება სულაც არაა საჭირო... ხომ გესმის?! ჩემი ხომ გესმის?! ხოდა, მთავარი ესაა... მთავარია, ჩემი გესმოდეს... ვინმეს ხომ უნდა ესმოდეს ჩემი?! ვინმემ ხომ უნდა იცოდეს რა მჭირს?! ცოტათი მაინც ხომ უნდა იცოდეს ვინმემ?! ა?! რას იტყვი ცუგა, ა?! შენ რას ფიქრობ ამაზე, ა?! თუმცა, შენც რა იცი ცუგა, რა არის ფიქრი... არ იცი და ამიტომაც ხარ ბედნიერი... ხარ შენთვის პანელებში შეყუჟული და არაფერზეც არ ფიქრობ... ფიქრის არქონა ბედნიერებაა ცუგა... შვებაა და ბედნიერება...

მე კი, ხომ ხედავ, აღარ შემიძლია ცუგა, ვეღარ ვუძლებ, ლამის დამახრჩოს ფიქრმა, ჯერ ფიქრმა და მერე ცრემლებმა... მაინც საიდან ამდენი, ან სად ეტევა... თუმცა, შენ ხომ იცი ხანდახან ტირილით ყმუილი, სევდიანი... ხომ იცი... როცა მონატრების სევდა მოგეძალება, ხომ წაიგრძელებ ხოლმე კისერს და შემზარავი ყმუილით ხომ ეხმიანები უმთვარო ღამეებს... ხოდა, მეც მენატრება ცუგა, ძალიან მენატრება და იქნებ მასწავლო ეგ ყმუილი... გავალ სადმე უკაცრიელ ადგილზე და მეც ვიყმუვლებ ხოლმე... ყმუილით ვამცნობ ქვეყნიერებას, როგორ მენატრება...

ეგებ, იმ ყმუილს გავატანო ეს თვეობით ნაგროვები გაუსაძლისი ტკივილი და ეგებ მომეშვას ცოტა, თორემ... რა ვქნა, ვეღარ ვუძლებ ცუგა, ვთავდები...

უუუხ! მე ამის დედაც... მამაც და ყველაფერი ერთად... ცრემლი ყოფილა ცხოვრება, გაღიმებული ცრემლი...

აღარ მინდა, არაფერი აღარ მინდა“.

თვალები დავხუჭე და გავჩუმდი. ლაპარაკიც აღარ შემეძლო. არ ვიცი რამდენ ხანს ვიჯექი ასე თავჩაქინდრული, როცა მუხლთან გაუბედავი შეხება ვიგრძენი და შემკრთალმა თვალები გავახილე.

ცუგა მოსულიყო ჩემთან. ის მტკივანი ფეხი კიდევ უფრო აეწია და მოტეხილი თათი ჰქონდა მუხლზე მოდებული. თავი კი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და ძალიან ჭკვიანი და თან სევდიანი თვალებით შემომცქეროდა, აბა?!

გელა ქოქიაშვილი

## ქვათა მატიანე

# კამბეჩოვნის კარიბჭე

### ჭერემის ქვეყანა

**ჭერმისხევით ველისციხისა და მუკუზანის სანახებში ჩამოსულები ისტორიული ჭერმის ქვეყნის (ამჟამინდელი გურჯაანის რაიონი) შუაგულში აღმოვჩნდით. აქედან ეს ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ალაზნის პარალელურად, კარდანახამდე გრძელდება, ხოლო ჩრდილო დასავლეთით ვანთისხევამდე და აკურამდე. ჩვენ ახალი მოგზაურობის დაწყებას კარდანახიდან ვამჯობინებთ.**

**კარდანახი** მევენახეობით განთქმული საკმაოდ დიდი სოფელია, რომელიც ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ კი კახეთის მეფეების მამული იყო. სოფელს შუაში ჩამოუდის პატარა ხევი, რომლის თავში სოფლიდან სამხრეთ-დასავლეთით 7 კმ-ში, ტყიან მაღალ მთაზე დგას „**ჯამბალას წმ. გიორგი**“. იგი არა მარტო კარდანახს, არამედ ერთ მხარეს ალაზნის ველს გადასცქერის, მეორე მხარეს კი ივრის სანახებსა და იქიდან შემომავალ ბარჯისხევს. „ქართლის ცხოვრებაში“ X საუკუნის დასაწყისის **ორჭობის** ციხე რომაა ნახსენები, დღემდე სადღაც აქ, კარდანახსა და ბაკურციხეს შორის მეგულება. ეს იმიტომ, რომ აფხაზეთის მეფის — კონსტანტინე III-ისა და კახთა მთავრის, კვირიკე I-ის მიერ ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკისთვის ჩამორთმეული ოთხი ციხიდან ორი თუ ალაზნის მარცხენა სანაპიროზე იყო (გავაზი და არიში), ორიც მარჯვენა სანაპიროზე იქნებოდა. **ამ ორიდან ერთის — ვეჯინის მდებარეობა კარგადაა ცნობილი, მეორე ციხის — ორჭობის კოორდინატები კი დაუდგენელია. არადა, ორჭობი ვეჯინიდან აღმოსავლეთითაა საძიებელი, რადგან ჰერეთი ამ მიმართულებით იქნებოდა შევიწროებული.** ასეთ შემთხვევაში კახეთში შემავალი ჭერემის ქვეყნის და ჰერეთში შემავალი კამბეჩოვნის (ქიზიყის) საზღვარი, თუნდაც დროებით, სწორედ კარდანახის რომელიღაც ხევზე გაივლიდა.

კარდანახში კიდევ ათი ეკლესია და სამი კოშკია, მათგან ძალიან საყურადღებოა სოფლის სამხრეთ-დასავლეთ უბანში, ცენტრიდან 700 მეტრში მდგარი ორი „საბაწმინდა“ — VI და XIII საუკუნეების ტაძრები.

გზას თავდაპირველად VI საუკუნის სამეკლესიან საყდართან მივყავართ. მისი განაპირა ეკლესიები, რომელთაგან ერთ-ერთი (სამხრეთისა) წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა, ძალიან ვიწროა. ეს ეკლესიები დასავლეთიდან ასეთივე ვიწრო გარშემოსავლელითაა გაერთიანებული. გაცილებით ფართო ცენტრალური ეკლესია, ისევე როგორც განაპირანი, აღმოსავლეთ მხარეს საკურთხევლის ნალისებრი აფსიდით სრულდება. დასავლეთიდან ცენტრალურ ეკლესიას ღია პატრონიკე გადმოსცქერის. ერთიანი ტაძრის სიგრძე გარედან 11,1 მ-ია, სიგანე — 10,4 მ. ცენტრალური ეკლესიის სიმაღლე იატაკიდან კამარის უმაღლეს წერტილამდე 7 მეტრი ყოფილა (კამარა, ამჟამად აღარ არსებობს). ნაგებობა აშენებულია კარგად შერჩეული ერთნაირი ზომის რიყის ქვის ზუსტი თარაზული წყობით, სწორი პირით ფასადისკენ (კახური სტილი). შესასვლელები გარედან არქტირავულია, შიგნიდან — თაღური. ტაძრის სამთაღიანი კარბჭე ჩართულია „წმ. ნიკოლოზის“ სამხრეთ კედელში.

ამ ტაძრიდან სამხრეთით, დაახლოებით 100 მეტრში შემაღლებულ ადგილზე, აღმართულია მეორე „საბაწმინდა“ — XIII საუკუნის ბოლო მეოთხედის დიდი, ჯვარგუმბათიანი საყდარი. ამ ეპოქის ასეთი მასშტაბის მქონე მეორე ეკლესია კახეთს არ აქვს. იგი თითქმის მთლიანად აშენებულია შირიმის თლილი კვადრებით და მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვა ძალიან ძნელი „მოსარჯულებელია“, ხუროთმოძღვარს აქა-იქ მაინც გამოუყვანია ჩუქურთმა, რომლითაც (მარტივი, ორმაგი ლილვები) სარკმლები და გუმბათის ყელი მოურთავს.

ვეჯინის ციხე: მთავარი კოშკი, ეკლესია „ამაღლება“ და კომპლექსის საეთო ხედი

საყდარს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან დაბალი კარიბჭეები აქვს მიშენებული, ძირითადი დიდი კარიბჭე დასავლეთის ნართექსშია ჩართული. ამ კარიბჭის მარცხნივ და მარჯვნივ ნართექსშივე, მცირე ოთახებია. საკურთხევლის აფსიდში გამოკვეთილი ხუთი ნიშა თაღოვანია, ხოლო სადიაკვნოს აფსიდში გამოკვეთილი ერთი, ძალიან ღრმა ნიშა — ნალისებრი. სადიაკვნო და სამკვეთლო საკურთხეველსაც უკავშირდება და გვერდითა ნავებსაც.

**ტაძრის მასშტაბიდან და გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე, მისი დამკვეთი ფრიადი სახელისა და შეძლების პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამ ეპოქაში ასეთი კაცი ერთი იყო მთელ კახეთში — კოხტას შეთქმულების ორგანიზატორი, ეგარსლან ბაკურციხელი, რომლის მკვიდრო მამული კარდანახზე მიბმული ბაკურციხე გახლდათ.**

კარდანახის მერე სწორედ **ბაკურციხეში** შევდივართ. ისევ ორჭობის ძებნაში ვართ... რას ნიშნავს „ორჭობი“? თუ ეს სიტყვა ორჭოფობიდან მომდინარეობს, მაშინ ციხის ძებნაში სწორ კვალს დავდგომივარ, რადგან კარდანახი-ბაკურციხე ოდითგან სადავო და საორჭოფო ტერიტორია იყო კამბეჩოვანსა და ჭერემის ქვეყანას შორის.

ბაკურციხე რომ XIII საუკუნემდეა დაარსებული, ამას მისი მფლობელის, ეგარსლანის ზედწოდება ცხადყოფს. არქეოლოგიურ შრეებში აქ ბრინჯაოს ხანის სამივე სტადიაა დაფიქსირებული, ადრე შუასაუკუნეების ან თუნდაც, განვითარებული შუასაუკუნეების ციხე-ტაძრებს კი ვერსად ვხვდებით.

ბაკურციხის შემდეგ გურჯაანის მიმართულებით ჯერ **კოლაგია**, მერე კი **ვეჯინი**, რომლის ისტორიული ცენტრი ტრასიდან სამხრეთ-დასავლეთით სამ კილომეტრშია. ციხე-სიმაგრეში მისვლამდე სხვა ძეგლების შემოვლას ვამჯობინებთ. ვეჯინის ტერიტორიაზე შემორჩენილ ქრისტიანული ეპოქის ძეგლთა შორის უძველესი „**ჯანიანთ საყდარია**“. იგი ადრე შუასაუკუნეებით თარიღდება, დგას ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფლიდან აღმოსავლეთით 6-7 კილომეტრში და ძალიანაა დანგრეული. რამდენამდე უკეთეს მდგომარეობაშია IX-X საუკუნეების საყდრები: დარბაზული „**წმ. სტეფანე**“ (სასაფლაოზეა), სამეკლესიანი „**წმ. გიორგი**“ (ციხისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარესაა სამხრეთის ეკლესია მთლიანად მოშლილი აქვს) და „**ცხრასაყდარა**“ (აკვანქედის ფერდზეა).

... ვეჯინის ციხისკენ მივეშურებით. იგი „ცხრასაყდრიდან“ ჩრდილოეთით ხევგაღმაა და სანამ მის ბაქანზე ავალთ, სამი ძეგლი კიდევ გვხვდება: **კახეთის აბაშიძეთა XVIII საუკუნის** ოთხსართულიანი კოშკი, **პეტრე და პავლე მოციქულების X-XII საუკუნეების ახალაღდგენილი** კოხტა, დარბაზული ეკლესია და ზედ გზისპირზე მდგარი დედათა მონასტერი „**ყველაწმინდა**“.

„ყველაწმინდა“ XIV საუკუნის ჯვარგუმბათოვანი საყდარია, თუმცა მასში გვიანდელი გადაკეთების კვალი აშკარად შეინიშნება.

... კიდევ 300-400 მეტრი და **ვეჯინის ციხეზე** ავდივართ. ვეჯინის, ანუ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს — ვეჟინის ციხე-სიმაგრე ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციის — ჰერეთის ტერიტორიაზეა. ძვ.წ. აღ-ის II საუკუნიდან ჰერეთი უკვე ერთიანი იბერიის სამეფოს შემადგენელი ნაწილი გახდა, მაგრამ IX საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე, იგი ხანგამოშვებით დამოუკიდებლად არსებობდა და ვეჯინიც თან გაიყოლა. საქართველოს ხელახალი გაერთიანების მოწადინე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე კონსტანტინე III-მ და კახთა მთავარმა კვირიკე პირველმა ერთიანი ძალებით 906 წელს (ერედვის ტაძრის წარწერაში შემონახული თარიღი) ჰერეთის დიდი ნაწილი უკან დაიბრუნეს. მათ ჰერეთისა და დასავლეთ ალბანეთის, ანუ იგივე რანის მეფეს ადარნასე პატრიკს, როგორც უკვე ვწერდი, ვეჯინი, ორჭობი, გავაზი და არიში დაათმობინეს. X საუკუნის 60-იან წლებში ვითარება კვლავ შეიცვალა. რანის მეფე ოიანე სენექერიბმა არათუ ეს ციხეები დაიბრუნა, არამედ კახთა მთავარს, კვირიკე II-ს, რომელსაც „აფხაზთა მეფეებიც“ გადაკიდებული ჰყავდა, სხვა მიწებიც ჩამოაჭრა. მდგომარეობა ხელახლა შეიცვალა X საუკუნის მიწურულს — ბაგრატ III-ის ხელშეწყობით, კახეთის მთავარმა (ქორიკოზმა) დავით კვირიკეს ძემ ჰერეთის უმეტესი ნაწილი შეიერთა. ამის მერე კახეთ-ჰერეთი, მცირე ხნით ჯერ გაერთიანებული საქართველოს ნაწილი ხდება, 1014 წლიდან კი კახთა და რანთა სამეფოს სახით, დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია. ამ დროს ვეჯინი სამეფოს ერთ-ერთო საერისთავოს ცენტრია. კახთა და რანთა სამეფომ დამოუკიდებლობა მას შემდეგ დაკარგა, რაც დავით აღმაშენებელმა დიდი ქართული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. დავითამდე ამის გაკეთება მამამისმა — გიორგიმ II-მ სცადა. მან სელჩუკთა დამხმარე ჯარით სწორედ ვეჯინს შემოარტყა ალყა, მაგრამ მოულოდნელად, აჯამეთის ტყეში ნადირობა მოენატრა, ციხე-სიმაგრეს ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა.

უშუალოდ ციტადელისგან ბევრი არაფერია დარჩენილი: ზედა და ქვედა ციხის გალავნიდან მოღწეულია მხოლოდ ფრაგმენტები, მათ შორის ყველაზე უკეთ ზედა ციხის კოშკი და ციხე-დარბაზის აღმოსავლეთი კედელი, რომელიც IX საუკუნისაა. ეკლესია „ამაღლება“, რომელშიც XIV საუკუნის სამშენებლო ფენა სჭარბობს. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ანდრონიკაშვილების საძვალე გამხდარა. ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენის დასავლეთი ფასადი მთლიანად თლილი შირიმის ქვისაა და მცირე სამკაულები მოსავს. „ამაღლების“ ძირითად დარბაზი დამშვენებულია XIV საუკუნის საკმაოდ მაღალი დონის კედლის მხატვრობით.

ციტადელის ტერიტორიაზე კიდევ სამი დარბაზული ეკლესია („**აღდგომა**, „**წმ. მარიამი**“, „**უსახელო**“) და ერთი სამრეკლოა. ციტადელის ეზოსა და მის მიდამოებში რამდენიმე გვირაბია, მათგან ერთ-ერთი, რომელიც „ამაღლების“ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან 3 მეტრში ჩადის და იკარგება მიწაში, გადმოცემის თანახმად, გურჯაანის „ყველაწმინდაში“ ამოდიოდა, თურმე.

**გურჯაანის „ყველაწმინდა“, შემოვლითი გზით, აქედან 5-6 კილომეტრშია და ჩვენც იქით გვაქვს გეზი.**

*ავტორის ფოტოები*

კარდანახის გუმბათიანი „საბაწმინდის“ საერთო ხედი

კარდანახის 3-ეკლესიანი „საბაწმინდის“ საერთო ხედი და პატრონიკე



# ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 7 | | | | | 6 |
| | | | | | 5 | | 4 | 1 |
| | | | | | 2 | 8 | 5 | 3 |
| | | 3 | | | | | 8 | |
| | | | 6 | 8 | 7 | | | |
| | 2 | | | | | 6 | | |
| 2 | 6 | 5 | 1 | | | | | |
| 1 | 4 | | 3 | | | | | |
| 9 | | | | | 8 | | | 2 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | 7 | | | | 8 |
| | | | | | 2 | | 7 | 6 |
| | | 5 | | | 8 | | 2 | |
| 6 | | | | | | 1 | | 9 |
| | 9 | | 7 | | 3 | | 6 | |
| 8 | | 1 | | | | | | 7 |
| | 8 | | 6 | | | 7 | | |
| 2 | 4 | | 9 | | | | | |
| 1 | | | | 2 | | | 5 | |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 5 | 3 | 2 | |
| 7 | | | | 1 | | 8 | | |
| | | | | | 8 | | | 4 |
| | | | | | | | 1 | 7 |
| | 9 | | 2 | | 3 | | 5 | |
| 2 | 8 | | | | | | | |
| 3 | | | 1 | | | | | |
| | | 5 | | 6 | | | | 2 |
| | 2 | 4 | 5 | | | 1 | | |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 2 | | 6 |
| | | | | 1 | 8 | | 4 | |
| 4 | 2 | | | | | | 9 | |
| 5 | | 7 | | 9 | | 8 | | |
| | | | 8 | | 1 | | | |
| | | 8 | | 5 | | 7 | | 1 |
| | 8 | | | | | | 3 | 2 |
| | 4 | | 5 | 8 | | | | |
| 3 | | 9 | | | | | | |

# სექსუალობის ხარისხი თითებგგეა დამოკიდებული

მამაკაცის სექსუალობისა და ქცევის შესახებ შეიძლება არა მხოლოდ ვაჟკაცურმა ნიკაპმა ან ბოხმა ხმამ მიგვანიშნოს, არამედ, როგორც სპეციალისტებმა გაარკვიეს, ხელის თითებმაც — თითების სიგრძე და მათი პროპორციულობა ადამიანის თვისებებზე მეტყველებს. ლივერპულის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეისწავლეს საჩვენებელი და არათითის შეფარდება სხვადასხვა სახის მაიმუნებში და შედეგები სექსუალურ თუ სოციალურ აქტივობას შეადარეს. კვლევამ ცხადყო, რომ ხელის თითების სიგრძის შეფარდება დაკავშირებულია დედის ჰორმონალურ ფონთან ემბრიონის განვითარების პერიოდში. თუ დედის ორგანიზმში ამ დროს ტესტოსტერონის მომატებული დონეა, ნაყოფს შემდგომში გამოაჩნდება არა მხოლოდ მამაკაცური ნიშნები, არამედ საკმაოდ დიდი იქნება განსხვავება არათითსა და საჩვენებელი თითის სიგრძეს შორის, ხოლო ესტროგენების გაზრდილი დონე საწინააღმდეგო ნიშნებს იძლევა. კვლევების მიხედვით, რომელიც ხემნიცის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს, დადგინდა, რომ რაც უფრო გრძელია მამაკაცის არათითი, მით მეტი სქესობრივი კავშირის დამყარება შეუძლია. რაც შეეხება სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რომელთაც დაახლოებით ერთნაირი სიგრძის საჩვენებელი და არათითი აქვთ, შეუძლიათ ბევრი შვილი იყოლიონ, ხოლო ის ქალები, რომლებსაც არათითი საჩვენებელზე გრძელი აქვთ, ჰომოსექსუალური კავშირებისკენ იხრებიან.

# „დადებითი ემოციების მომგვრელი" პიცა

ვანკუვერში მდებარე ერთ-ერთი პიცერიის მენიუში გაჩნდა ახალი კერძი, რომელმაც მაშინვე მიიპყრო კლიენტების ყირადღება უჩვეული შიგთავსით: ერთ-ერთი ინგრედიენტი მარიხუანაა. დაწესებულება სახელად Mega ILL, მედიის ყურადღების ცენტრში სწორედ „პოზიტიური ემოციების მომგვრელი" პიცის წყალობით მოექცა. ამ „სამკურნალო" კერძის შეკვეთა, რომელშიც კანაფის ზეთს იყენებენ, შეუძლიათ 18 წელს გადაცილებულ პირებს, რომელთაც აქვთ ნებართვა მარიხუანას სამედიცინო მიზნებით გამოყენებაზე. აღსანიშნავია, რომ კაფეს მფლობელი მარკ კლოკიდი, რომელმაც კიბო დაამარცხა, აქტიურად მოიხმარს მარიხუანას. მიუხედავად რემისიის საშიშრებისა, რეგულარულად ვიღებ მას და არ ვყიდულობ სხვა ტკივილგამაყუჩებლებს, — აცხადებს მარკი, — მინდა, ჩემი პიცერია იყოს ადგილი, სადაც ადამიანები გემრიელ და ჯანსაღ საკვებს მიიღებენ. თუმცა, შესაძლოა უახლოეს მომავალში ეს „პოზიტიური" კერძი ამოვარდეს რესტორნის მენიუდან, რადგან ახალი კანოპროექტი, რომელიც მალე უნდა შევიდეს ძალაში, კრძალავს მსგავსი პროდუქტის გაყიდვას.

# ყველაზე სპორტული ევროპელები

ასეთებად შვედეთის მოქალაქეები დასახელდნენ. გამოკითხული შვედებიდან, ყოველმა მეშვიდემ განაცხადა, რომ დაკავებულია ფიზიკური ვარჯიშით. მხოლოდ 9%-მა აღიარა, რომ საერთოდ არ მისდევს სპორტს. შვედეთშივე დაფიქსირდა ადამიანების ყველაზე მეტი რაოდენობა, ვინც რეგულარულად დადის ფიტნეს-ცენტრში (33%). შედარებისთვის, დანიაში მხოლოდ გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ ხშირად სტუმრობს სავარჯიშო დარბაზს. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სპორტში გაცილებით აქტიურები შვედი მამაკაცები არიან, ქალები კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ დატვირთვას.

# ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

### ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 6 | 2 | 3 | 8 | 7 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 3 | 2 | 5 | 6 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 |
| 8 | 4 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 1 |
| 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 1 | 6 | 2 | 8 |

### ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 3 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 7 | 5 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 |
| 5 | 4 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 6 | 5 | 7 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 7 | 3 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 | 5 | 9 |
| 3 | 5 | 8 | 6 | 9 | 7 | 1 | 4 | 2 |

### ᲠᲗᲣᲚᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 |
| 9 | 3 | 8 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 3 | 5 | 2 | 4 | 8 |
| 4 | 2 | 5 | 8 | 1 | 7 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 5 | 7 | 1 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 7 | 9 | 6 | 2 | 4 |
| 7 | 5 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 | 3 |

### ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 4 | 8 | 1 | 7 | 2 | 6 | 5 |
| 2 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 | 7 |
| 6 | 4 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 | 3 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 6 | 1 | 8 | 7 | 4 |
| 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 | 5 | 6 |
| 7 | 2 | 6 | 3 | 4 | 9 | 5 | 8 | 1 |
| 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 |

მე-12 გვერდი: 1. გარგარი; 2. აფსუს; 3. გონგი; 4. რანდა; 5. შერხანი; 6. ელადა; 7. ხაკასია; 8. ნარი; 9. ესენინი; 10. არი; 11. რუსა; 12. კრიმინალი; 13. ტანკერი; 14. ლაიტმოტივი; 15. იბლისი; 16. აბზაცი; 17. ბებია; 18. ინდრა; 19. არი; 20. კარიესი; 21. ვალსი; 22. კიოტო; 23. ტაივანი; 24. ჰერა; 25. არა; 26. ლაიკა; 27. დინასტია; 28. მიტრა; 29. ჰანტელი; 30. როკადა; 31. ტირე; 32. დიკა; 33. ნიკო; 34. სმიტი; 35. აბი; 36. მჭლე; 37. არსი; 38. არმია; 39. ნალი; 40. „კია"; 41. ალტაი; 42. ტორი; 43. სამოა; 44. ჭკა; 45. ვიაგრა; 46. მედიე; 47. ფილე; 48. დინგი; 49. მალტა; 50. ძუ; 51. ილი; 52. ოტო; 53. თია; 54. იანძი; 55. არია; 56. კარე; 57. ავესტა; 58. გეა; 59. მართვე; 60. ნატი; 61. ნოკია; 62. ასა; 63. აგორა.

# საკუთარ გასვენებაში გაღვიძდა

45 წლის ჩინელი მამაკაცი, რომელიც თამბაქოს აქტიური მომხმარებელი იყო, გულის შეტევით გარდაიცვალა და ეს მედიკოსებმაც დაადასტურეს. ახლობლებმა და მეგობრებმა კი ნამდვილი შოკი განიცადეს, როცა მამაკაცი საკუთარ გასვენებაში მოულოდნელად „გაცოცხლდა" და ტირილი დაიწყო. მამაკაცი მეგობრების გარემოცვაში იმყოფებოდა, უცებ სიგარეტი დაუვარდა, როცა მის ასაღებად დაიხარა, გონება დაკარგა და ასფალტზე დაეცა. მეგობრებს ყველაფერი ჯერ ხუმრობა ეგონათ, მერე მიხვდნენ, რომ საქმე სერიოზულად იყო და სასწრაფოს გამოუძახეს. ავადმყოფი კლინიკაში სამი თვის განმავლობაში იწვა და გადარჩენის მცირე შანსი არსებობდა. მერე კი მეუღლეს მისი გარდაცვალება აცნობეს. როგორც გაირკვა, ექიმები შეცდნენ — მამაკაცი გასვენებაში მოვიდა გონს და სიტუაციაში რომ გაერკვა, მწარედ ატირდა. იგი რეანიმაციაში დააბრუნეს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა, ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

# გართოება

1. მხარე დასავლეთ საქართ-ველოში
2. ბერძნული ანბანის მესამე ასო
3. კარის-კაცთა დაწყობა მწკრივში სიმაღ-ლის მიხედვით
4. ზმნის გრამატიკული კატეგორია
5. ბელო-რუსიის დედაქალაქი
6.მკათათვის თანამედროვე სახელწოდება
7.აფრიკიდან მონაბერი ცხელი ქარი სამხ. ევროპაში
8. სახ-ელმწიფო დასავლეთ ევროპაში
9. აშშ-ის შტატი
10.ქვეყანა ჩრდ. და სამხ. ამერი-კის შემაერთ. ყელზე
11. ღომში ჩაზელილი სულგუნი
12. მთიანი მხ-არე სამხრეთ რუსეთში
13. ცისარ-ტყელას ქალ-ღმერთი
14. რეჟისორი ... კუსტურიცა
15. მანძილის საზღვაო ერთეული
16.მდინარე ხრამის მეორე სახელწოდება
17. იგივეა, რაც წლოვანება
18.დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მი-თოლოგიაში
19. ქონ-დრისკაცი ევროპულ მითოლოგიაში
20.ფელინის ოსკაროსანი ფილმი
21.უმაღლესი ხარისხის მინა
22.პატარას საპირისპირო სიტყვა
23. იგივეა, რაც ბებია
24.ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე მოპარს. წვერი
25.უდიდესი სიამოვნების, კმაყოფილების შეგრძნება
26. ღვინის, დროსტარების და მხიარუ-ლების ღმერთი
27. მხარე აღმოსავლეთ საქართ-ველოში
28. ტბა ფინეთში
29.ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
30. ებრაელთა სასულიერო პირი
31. აბელის და კაენის მამა
32.ეთიოპიის ძველი არა-ოფიციალური სახელი
33.წესიერი მრავალ-კუთხედის ცენტრიდან მის ნების-მიერ გვერდზე დამშებული მართობი
34. ხავერდის მსგავსი ქსოვილი
35. საქორწინო გადასახადი საპატარძლოს მშობლებისთვის
36. კოტო-რაშვილის სახელი
37. „ჭრელი მთები“ შუა აზიაში
38.მდინარე იტალიაში, პოს შენაკადი
39. ტროპი-კული ხილი
40.ჩრდილო კავკა-სიის მთიელთა სოფელი
41. ძველი გერმანული ტომები
42. რაიმე საბუთის მეორე პირი
43. ღომის ამოსაზელი ხის დიდი ჯოხი
44.აკაკის ძიძის სოფ.
45. დაბა სვანეთში
46. სპარტის მეორე სახელ-წოდება
47. იაპონური მულტიპ-ლიკაცია
48. რუსი საბჭოთა ფიზიკოსი და დისიდენტი
49. დიდი ფრანგი ქიმიკოსი
50. თერძის იარაღი
51. კანზე წასასმელი წამალი
52.ბოთლებში ჩამოსხმული ღვინოების საცავი
53. „მილა-ნის“ მთავარი მწვრთნელი
54.რობერტ ბარძიმაშვი-ლის პირველი ანსამბლი
55. წყლის ტრანს-პორტი
56. სოიას ხაჭო
57.მტკიცე პირობა, აღთქმა
58. დიდი ესპანელი ფერმწერი
59.უმც. ორ-ნიშნა რიცხვი
60.ესპარან-ტოს ვარიანტი
61. უდიდესი შემოქმედები-თი ნიჭი
62. ფრანგული ავტომარკა
63.იგივეა, რაც თაღი
64. დამხმარე თეორემა
65. ჩეხურაშ-კას მეგობარი ნიანგი
66. დიდი ჩაქური
67. ქალის ვარცხნილო-ბის ტიპი
68. გამარ-ჯვების ბერძენი ქალღმერთი
69. სასვენი ნიშანი
70. ფრიგიის მეფე, რომელმაც ცნობილი კვანძი დახლართა
71. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
72. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
73.ინდიელთა შხამი
74.აფრიკული შხამ. ბუზი
75.ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში
76. ქალაქი დიდ ბრიტა-ნეთში
77. ისტ. მხ-არე სამხრეთ საქართ-ველოში
78. იესო ქრისტეს გამყიდველი
79. კომ-პოზიტორი ... ბალანჩივაძე
80. თმის მცენარეული საღებავი
81. სარწყავად გაჭრილი პატარა არხი
82. თბილი-სის ერთ-ერთი უბანი
83. ვისიმე ნამ-დვილი სახელი, ფსევდონიმად გამოყენებული

## ამანათებს „უპილოტებით“ გაგზავნიან

აშშ-ს სამოქალაქო ავიაციის ფედერალურმა სამმართველომ კომპანია Amazon-ს უფლება მისცა, უპილოტო საფრენი აპარატები გამოსცადოს. ისინი მომხმარებლის შეკვეთილი ნივთების მიწოდებისთვისაა გათვლილი. შეთანხმების მიხედვით, მოწყობილობას პროფესიონალი პილოტი მართავს, რომელსაც ფრენის მანძილზე აპარატთან ვიზუალური კონტაქტი აქვს. ცნობილია, რომ მსოფლიოში უმსხვილესი ონლაინმაღაზია Amazon ამ პროექტზე უკვე ორი წელია მუშაობს. კომპანიაში ამბობენ, რომ ამ ტიპის აპარატების გამოყენებით კლიენტი საქონელს მომავალში შეკვეთის მომენტიდან ნახევარ საათში მიიღებს.


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.